# ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

2025 წელი

ქ. ზუგდიდი

# შესავალი

- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

- **მერის ანგარიში შედგენილია**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე.

- **ანგარიშის სტრუქტურა**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური გეგმა, უზრუნველყოფს მისი პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული, კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული, სოციალური, ჯანდაცვის პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებას. აღნიშნული სფეროები, პროექტები და პროგრამები, როგორც პრიორიტეტული მიმართულებები, განსაზღვრავენ ბიუჯეტის ხარჯვით პოლიტიკასაც. შესაბამისად, მერის ანგარიშის სტრუქტურა მოიცავს:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტსა და სახელმწიფო შესყიდვების მონაცემებს;
- ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებას;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებას;
- განათლების პრიორიტეტის დაფინანსებას;
- კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებას;
- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებას;

## ❖ *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები*

- **საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური**

კანონმდებლობიდან გამომდინარე, ბიუჯეტი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, მისი კომპენტენციებისა და უფლებამოსილებების განხორციელების მთავარი ფინანსური ბერკეტია. ის როგორც თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური გეგმა, უზრუნველყოფს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მუნიციპალიტეტის სოციალური, ჯანდაცვის, კულტურული, განათლების, სპორტული, ახალგაზრდული, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და პროგრამების, მმართველობითი სფეროების საჭიროებების დაფინანსებას. სწორედ აღნიშნული პროგრამები, პროექტები და სფეროები განსაზღვრავენ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ხარჯვით პოლიტიკასაც.

მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული საწყისი ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 70.5 მილიონი ლარით. შემდგომ პერიოდში წინა წლის ბიუჯეტიდან 2025 საფინანსო წელში გარდამავალი ნაშთების, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაცემული სახსრების, მთავრობის შესაბამისი განკარგულებით მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი ფინანსური დახმარების თანხის და სხვა ფაქტორების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანმა მოცილობამ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 104,445.0 ათასი ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობამ 76,460.0 ათასი ლარი.

მიმდინარე წლის განვლილ 9 თვეში ადგილობრივი ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 72,640.2 ათასი ლარი, რაც წლიური პროგნოზით გათვალისწინებული მაჩვენებლის 73.3 %-ია. აქედან გადასახადების გეგმა-პროგნოზის შესრულების მაჩვენებელმა თანხობრივად შეადგინა 44,325.7 ათასი ლარი, რაც წლიური მაჩვენებლის მიმართ 75.5%-ია. 9 თვეში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გრანტების სახით მიიღო მიზნობრივი (დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად), კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერი თანხობრივად 21,570.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმა-პროგნოზის 85.8 %-ია.

ადგილობრივი ბიუჯეტის „სხვა შემოსავლების“ გეგმა-პროგნოზის შესრულებამ შეადგინა 4,319.0 ათასი ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 67.5 %-ი, ხოლო 9 თვესთან მიმართებაში 90.8%-ია.

უნდა აღინიშნოს, რომ განვლილ 9 თვეში, ბიუჯეტის გადასახდელების მთლიანმა მოცულობამ თანხობრივად შეადგინა 74,228.0 ათასი ლარი, რომელიც მიზნობრივად

მიიმართა სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების, პროექტების, სფეროებისა და დარგების დასაფინანსებლად.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გადასახდელების მოცულობა შეადგენს 55,603.9 ათას ლარს. აღნიშნული თანხიდან 12,993.6 ათასი ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის დაფინანსებაზე.

ასევე მიმდინარე საფინანსო წლის 9 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის დანიშნულებით გამოყოფილი იქნა 17,643.3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამოქალაქო ბიუჯეტის და მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც საშუალო და მიკრო პროექტების შესასრულებლად 2025 წლის 9 თვეში ათვისებულია 15.3 ათასი ლარი. განხორციელდა შემდეგი პროექტები: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (მოხრეშვა); ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ილია ჭავჭავაძის ქუჩა N16-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს შესასვლელთან ცხაურის მოწყობა; ქ. ზუგდიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სხვადასხვა ლოკაციაზე არსებული პარკების, სკვერების და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა თანამდევი ექსპერტირებით.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდა 115-მდე მსხვილი, საშუალო და მიკრო ინფრასტრუქტურული პროექტი, რამაც ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელებით გათვალისწინებული თანხები აგრეთვე მიმართული იქნა მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი სხვა პროგრამების (პროექტების) დასაფინანსებლად, კერძოდ:

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პროგრამას მომხმარდა 7,988.5 ათასი ლარი, მათ შორის ქალაქ ზუგდიდისა და მუნიციპალიტეტის 48 ადმინისტრაციული ერთეულის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის დაფინანსებას 6,202.9 ათასი ლარი.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებზე, როგორც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტის მიმართულებით გაიხარჯა 3,799.8 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა სოციალური დანიშნულების 14 პროგრამის, ასევე სამედიცინო დახმარებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ფინანსურ უზრუნველყოფას.

განათლების სფეროს დაფინანსებისთვის გამოიყო 12,408.5 ათასი ლარი. აქედან აღნიშნული სფეროს ასიგნებათა ძირითადი ნაწილი, კერძოდ 11,171.1 ათასი ლარი მიიმართა სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე.

კულტურის, რელიგიის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროების დაფინანსებამ შეადგინა 6,098.2 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა მუნიციპალიტეტში ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობას, საბიბლიოთეკო დარგის განვითარებას, სპორტული და ახალგაზრდული პროგრამების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის და რელიგიის ხელშეწყობის, კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის მთლიანობაში გამოყოფილი იქნა ასიგნებანი 12,315.0 ათასი ლარი.

### *სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მონაცემები და სტატისტიკური მაჩვენებლები*

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვებზე დადებულმა ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ 30,089.2 ათასი ლარი შეადგინა. აქედან, ელექტრონულად განხორციელებული შესყიდვებით ხელშეკრულებები დაიდო 25,985.2 ათასი ლარზე, გამარტივებული შესყიდვებით 1,931.4 ათასი ლარის ოდენობის თანხაზე, ხოლო კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა 2,152.5 ათასი ლარის შესყიდვა. სულ მომზადდა 350 ხელშეკრულების პროექტი, რომლებიც მუნიციპალიტეტის მერიამ, სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გააფორმა მიმწოდებლებთან. აქედან, 57 ხელშეკრულება დაიდო საქონლის შესყიდვაზე, მომსახურებაზე 144, ხოლო სამუშაოებზე 149 ხელშეკრულება.

განვლილ 9 თვეში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობამ შეადგინა: 245 (მონაცემები შეიცავს 2024 წელს გამოცხადებულ აუცილებელ სახელმწიფო შესყიდვებს მიმდინარე წლისთვის - სულ 8 ელექტრონული ტენდერი), რომლის ჯამური სავარაუდო ღირებულებაა 29,044.5 ათასი ლარი. შედეგად, ჩატარებული ტენდერებიდან, რომლებსაც მიენიჭა საბოლოო სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“ - გაფორმდა 25,985.2 ათასი ლარის ღირებულების სახელშეკრულებო დოკუმენტები. განხორციელებული შესყიდვის პროცედურიდან მიღებულმა ეკონომიამ 3,059.3 ათასი ლარი (ეკონომია პროცენტებში: 10.54%) შეადგინა.

ხელშეკრულებების ღირებულების კუთხით, 513.4 ათასი ლარი იქნა დახარჯული საქონლის, 1,773.3 ათასი ლარი მომსახურების, ხოლო 23,698.5 ათასი ლარი სამუშაოების შესყიდვაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში შესყიდვა ხორციელდება მრვალწლიანი შესყიდვით _ როგორც 2026, ასევე 2027 წლის ბიუჯეტის სახსრებით, შემდეგი თანხობრივი მაჩვენებლებით: 2026 წელს გამოიყოფა 4,398.9 ათასი ლარი, 2027 წელს 1,579.7 ათასი ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვებზე დადებულმა ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ 2,152.5 ათასი ლარი შეადგინა (დადებულია 32 ხელშეკრულება). მთლიანი შესყიდვებიდან მისი ხვედრითი წილი 7,15%-ია.

გამარტივებული შესყიდვით დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ 1,931.4 ათასი ლარი შეადგინა; გამარტივებული შესყიდვები მთლიანი შესყიდვების 6,40%-ია. სულ გაფორმდა 137 ხელშეკრულება. გამარტივებული შესყიდვები რაოდენობრივად და ხელშეკრულებების ღირებულებების მიხედვით, განსხვავებული პროპორციით გადანაწილდა შესყიდვის ობიექტების ტიპებზე. კერძოდ, გამარტივებული წესით, ხელშეკრულებების ღირებულების კუთხით, 88.7 ათასი ლარი იქნა დახარჯული საქონლის, 577.9 ათასი ლარი მომსახურების, ხოლო 1,264.9 ათასი ლარი სამუშაოს შესყიდვაზე.

მიმდინარე წლის 9 თვეში განხორციელებულ შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება პრეტენდენტების მიერ გასაჩივრდა 7-ჯერ. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭომ, ორ შემთხვევაში, საჩივარი არ დააკმაყოფილა, ხოლო სხვა შემთხვევებში დააკმაყოფილა, რომელთა ხელახლა განხილვის შედეგად მერიამ მიღებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა, რამდენადაც ის არ ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

გარდა ამისა, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის განხორციელებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ დაფიქსირებულა.

## ➢ ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება

- **ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური**

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

აღნიშნულ სფეროზე მოდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებათა მნიშვნელოვანი ნაწილი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დარგით (კაპიტალური პროექტები) 2025 წელს მიიმართა სულ 59 168 938,18 ლარი, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით 56 202 157,68 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 2 966 780,5 ლარი.

**საავტომობილო გზების და მისი შემადგენელი ნაწილების რეაბილიტაციას მთლიანობაში (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამიდან, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ინფრასტრუქტურის განვითარების განკარგულებით და ადგილობრივი ბიუჯეტიდან) მიიმართა 15 702 509,97 ლარი, აქედან 14 683 722,24 ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 1 018 787,73 ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.**

**ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები 60 784 ათასი ლარის ოდენობით. განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტი:**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტყაიას ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩიქოვანის ქუჩაზე ხიდის მოწყობის სამუშაოები - 60 783,97 ლარი;

**წყალმომარაგების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციაზე გახარჯულია 64 251,72 ლარი, აქედან ათას ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები შეადგენს 31 101,45 ლარს, ხოლო 33 150,27 ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.**

**სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციაზე გახარჯულია 527 902,53 ლარი. განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, თბილისის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები - 354 386.75 ლარი; ქ. ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩაზე ცენტრალური ბაზრის წინ არსებული სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 29 797 ლარი.

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელ სამუშაოებზე წლის ბოლომდე დაგეგმილია 1 377 870 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელება, აქედან 948 000 ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 429 870 ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები. ამ ეტაპზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შერჩეული 68 პროექტიდან სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულება გაფორმებულია 56 პროექტზე, ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით 1 120 169,64 ლარი;**

**საექსპერტო მომსახურებასა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე მიმართულია 549 971 ათასი ლარი.** მომზადდა 225 შესყიდვის მოთხოვნის განაცხადი. სამუშაოების შესყიდვაზე - 162, ხოლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე - 63 განაცხადი.

**სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე სულ მიმართულია 9 369 056,43 ლარი, განხორციელებულია შემდეგი პროექტები:** რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. რუხისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობის და რუხი-ახალაბასთუმნის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოები - 51 300 ლარი; ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბარათაშვილის ქუჩაზე საავტომობილო გზის ნაპირსამაგრის (2 ლოკაცია), ცენტრალური გზის რეაბილიტაციის და ნაპირსამაგრის (2 ლოკაცია) მოწყობის და ჭაქვინჯი-ხობის დამაკავშირებელ გზაზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები - 187 200 ლარი; ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, მშვიდობის ქუჩა N10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 12 500 ლარი;

**პარკების, სკვერების, სპორტული და ბავშვთა გასართობი მოედნების მოწყობა/რეაბილიტაციისათვის მიმართულია ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის სახსრები 410 833 ლარის ოდენობით. განხორციელებულია/დაგეგმილია შემდეგი პროექტები:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსთაველის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონზე განათების მოწყობის სამუშაოები - 4 390 ლარი; ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები - 252 267 ლარი (მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები);

**დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის მიმართულია 486 124,05 ლარი. ხორციელდება შემდეგი პროექტები:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, N1 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 17 466,69 ლარი; ქ. ზუგდიდის, N10 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 19 576,59 ლარი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის (ჩხოუში) ადმინისტრაციულ ერთეულში, N2 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 67 100 ლარი;

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი - 22 599 805,62 ლარი:** ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდში N5 და სოფელ ერგეტაში 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღების მშენებლობისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე, სამშენებლო სამუშაოების შესრულება - 3 583 361 ლარი (სამუშაოები დასრულების ფაზაშია); ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში 125 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე, სამშენებლო სამუშაოების შესრულება - 3 179 999 ლარი (სამუშაოები დასრულებულია); ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბერში 50 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა - 1 260 000 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს); ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო კახათში 50 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა - 1 249 000 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის 50 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა - 1 349 432.34 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

**საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია - 683 449.56 ლარი:** ქალაქ ზუგდიდში, თავისუფლების ქუჩაზე წყალარინების სატუმბი სადგურისა და წნევიანი მილის პროექტირება - მშენებლობის სამუშაოები - 298 444 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს); ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები - 385 005,56 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი - 5 124 774,58 ლარი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. განმუხურში ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვითი/ნაპირაღდგენითი სამუშაოები - 3 209 993.58 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს); შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-89) წალენჯიხა-ობუჯი-ჯიხაშკარის საავტომობილო გზის კმ12+880-ზე, მდინარე პაპასყურეზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 886 716 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია); შიდასახელმწიფოებრიი მნიშვნელობის (შ-89) წალენჯიხა-ობუჯი-ჯიხაშკარის საავტომობილო გზის კმ11+200-ზე, მდინარე ტორჩიაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 028 065 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);

**საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი - 271 359,75 ლარი:** ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-ს მიერ ,,სოფლის ექიმი''-ს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, კერძოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყარში ახალი ამბულატორიების შენობა-ნაგებობების მშენებლობის სამუშაოები - 271 359,75 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);

**საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია - 2 482 965,5 ლარი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერგეტას და ცვანეს ადმინისტრაციული ერთეულების გაზიფიცირების სამუშაოები - 2 482 965,5 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);

## არქიტექტურის განყოფილება

არქიტექტურის განყოფილება დებულების თანახმად თავის სამოქმედო ტერტორიაზე ეწევა გარკვეულ სამუშაოებს, იგი თავის საქმიანობას წარმოსახავს დამტკიცებული დებულების მიხედვით, ხოლო ხელმძღვანელობს საქართველოს კანონითა და კანონქვემდებარე აქტებით.

2024 წლის 01 ნოემბრიდან დღემდე მშენებლობის ნებართვის, მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების, არქიტექტურულ-კონსტრუქციული პროექტის შეთანხმების, დემონტაჟის ნებართვის მოთხოვნით შემოსული განცხადების რაოდენობა შეადგენს სულ 406–ს: მშენებლობის ნებართვები გაიცა 143 (ასორმოცდასამი) ობიექტზე; დემონტაჟის ნებართვები გაიცა 28 (ოცდარვა) ობიექტზე; მშენებლობის ვადა გაგრძელდა 62 (სამოცდაორი) ობიექტზე; პროექტის შეთანხმება გაიცა 40 (ორმოცი) ობიექტზე; მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა 133 (ასოცდაცამეტი) ობიექტზე; მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელმა 2024 წლის 01 ნოემბრიდან დღემდე შეადგინა **279 122.55 ლარი.**

## უნებართვოდ აშენებული ობიექტების მართვის და ლეგალიზების განყოფილება

2024 წლის 01 ნოემბრიდან 2025 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის უნებართვოდ აშენებული ობიექტების მართვის და ლეგალიზების განყოფილებაში შემოსულია სულ - 1280 კორესპონდენცია. შემოსულ კორესპონდენციებს გაეცა სათანადო პასუხი.

კერძოდ, მომართვიანობა შეადგენს:

- მოქალაქეების (ფიზიკური ან იურიდიული პირების) განცხადება -260,
- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან - 290 წერილი,
- ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის დაყოფაზე -152 წერილი.
- ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაერთიანებაზე- 78 წერილი
- ფართის დაყოფაზე - 26 წერილი.
- ფართის გაერთიანებაზე- 3 წერილი
- უნებართვოდ აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის დაკანონებაზე - 62 წერილი.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის წითელი ხაზების დადგენაზე - 2 წერილი.

## ➢ დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება

- **ა(ა)იპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრი"**

2025 წლის 9 თვეში, ააიპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრის" მიერ სამუშაოები სრულდებოდა დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. გეგმის საფუძველს წარმოადგენდა ,, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წლების სამოქმედო გეგმა და 2024 – 2027 წლების პროგრამული ბიუჯეტი.

2025 წლის 9 თვეში ა(ა)იპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრის" მიერ გაწეულმა საოპერაციო დანახარჯებმა საკასო შესრულების მიხედვით შეადგინა სულ **6202,9** ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2025 წლის 9 თვეში მიღებული სახსრების ეფექტურად ხარჯვისა და დაგეგმილი პროგრამების შესრულების შედეგად ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეკოლოგიური მდგომარეობა და მოსახლეობასა და საჯარო სივრცეებში სისუფთავის ხარისხი. ნაგავშემკრები კონტეინერებისა და მომსახურე ტექნიკის რაოდენობის ზრდისა და შესაბამისად, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შედეგად, გაიზარდა მოსახლეობისათვის და ეკონომიკის სექტორისათვის მომსახურეობის სერვისის მიწოდების ჯერადობა და ხარისხი. ქუჩების, საჯარო სივრცეების და ტერიტორიების ინტენსიური დასუფთავებისა და მორწყვის შედეგად, ქალაქის ტერიტორიაზე მკვეთრად შემცირდა დანაგვიანების მაჩვენებელი და მტვერის კონცენტრაცია ჰაერში. უფრო მიმზიდველი და სუფთა გახდა ქალაქი, სასოფლო - ტერიტორიული ერთეულები, ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლი და სხვადასხვა ტურისტული მიზიდულობის ობიექტები.

ეფექტურად ხორციელდება ქაღალდისა და მუყაოს ნარჩენების სეპარირება - რეციკლირების პროცესი, რის შედეგადაც ნაკლები ზიანი ადგება გარემოს. ამ პროგრამის განხორციელების შედეგად გარემოში არ გადაიყარა 20.1 ათას კუბურ მეტრზე მეტი ქაღალდი და მუყაო.

სეპარირების მაჩვენებლები მუნიციპალიტეტში მზარდი მონაცემებით ხასიათდება და მეორადი ნედლეულის რეალიზაციის შედეგად იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ:

2025 წლის 9 თვეში სეპარირებული და რეალიზებული იქნა **200** ტონა ქაღალდი და მუყაო, **29.0** ტონით მეტი 2024 წლის 9 თვესთან შედარებით და მიღებული იქნა **53.7** ათასი ლარის ფულადი შემოსავალი. სულ სეპარირებული შეგროვების დაწყებიდან რეალიზებულია **627,8** ტონა ქაღალდი და მუყაო ( დაახლოებით **35,1** ათასი მ3) და მისი რეალიზაციის შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში მიღებულია **163,3** ათასი ლარი.

ცალკეული სექტორების მიხედვით დაგეგმილი სამუშაოების შესრულების ინდიკატორული მაჩვენებლები შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

1. 2025 წლის 9 თვეში მყარი ნარჩენების გატანის მომსახურეობის სერვისი მიეწოდებოდა ქალაქის 475 ქუჩას და 13 113 ოჯახს, ანუ ქალაქის მოსახლეობის 100% -ს; 48 სასოფლო - ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებ 16 385 კომლს, ანუ სოფლის

მოსახლეობის 90 %; ეკონომიკის სექტორის 1220 - ზე მეტ კომერციულ , ინსტიტუციურ და ინდუსტრიულ ობიექტს ;

2. 2025 წლის 9 თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებულია **24181,6** ტონა მყარი მუნიციპალური ნარჩენი, ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია **24081,6** ტონა, რაც გასული წლის 9 თვესთან შედარებით **1616,7** ტონით მეტია, ხოლო ცალკე **234,8** ტონა ქაღალდი და მუყაო (დაახლოებით **13,1 ათასი მ3**) დაექვემდებარა სეპარირებულ შეგროვებას.
3. ქალაქის ტერიტორიის მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორის კომერციული , ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტებიდან ნაგავსაყრელში გაზიდულია **17654,7** ტონა, **1616,7** ტონით მეტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ყოველდღიურად ქალაქიდან გაიზიდებოდა **65,3** ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.
4. სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორის კომერციული , ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტებიდან გაზიდულია **6426,4** ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, **59,4** ტონით მეტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. სოფლებიდან ყოველდღიურად გაიზიდებოდა **23,8** ტონა მყარი ნარჩენი.
5. სულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგავსაყრელში ყოველდღიურად გაიზიდებოდა **89,2** ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.
6. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მიმდინარე წლის 9 თვეში ქალაქსა და სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულებში ყოველდღიურად საშუალოდ დაგვა - აკრეფის წესით სუფთავდებოდა **45,7** ჰექტარი ფართობი. მათ შორის ქალაქის ტერიტორიაზე **31,1** ჰექტარი, სასოფლო - ტერიტორიულ ერთეულებში კი **14,6** ჰექტარი. ხელის აკრეფის წესით სუფთავდებოდა ქალაქისა და სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების საჯარო სივრცეები, ცენტრალური ადგილები, მთავარი გზების გზისპირები და ტროტუარები, მასობრივი თავშეყრის ადგილები, ბაღები და სკვერები. სისტემატიურად ზღვის ამონაყარისაგან იწმინდებოდა 3 – 6 ჰექტარი ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლი;
7. დაგეგმილია პლასტმასის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების ანალოგიური პროგრამის დაწყება, რაც აგრეთვე გაუმჯობესებს გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლას და ჩნდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების დამატებითი წყარო.
8. სამსახურის მიერ ყოველდღიურად სუფთავდებოდა ქალაქის მრავალსართულიანი სახლების ეზოები, ქალაქის ცენტრალური ხეივანი, დადიანების სასახლის ბაღი, ფრანგული ბაღი, ცენტრალური სუპერმარკეტის შიდა და გარე პერიმეტრები, ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან მდებარე სკვერი და მისი მიმდებარე ტერიტორია, სქეით - პარკი, ვეტერანთა ხეივანი, გულუას სახელობის სკვერი, ქალაქის რკინიგზის სადგური და მისი მიმდებარე ტერიტორიები , ზუგდიდის ცენტრალური ავტოსადგური და მისი მიმდებარე ტერიტორიები და იქკ - ის დასახლება
9. საანგარიშო პერიოდში, ყოველდღიურად ხორციელდებოდა 48 სასოფლო ტერიტორიული ერთეულის ცენტრამდე მისასვლელი გზებისა და ქალაქში შემოსასვლელი და გასასვლელი გზის ნაპირების ხელით აკრეფის წესით გაწმენდა .
10. წყალმშხეფი მანქანით, ქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, სისუფთავის დაცვის, ჰაერში მტვერის კონცენტრაციის შემცირების მიზნით,

ყოველდღიურად ირწყვებოდა ქალაქის ცენტრალური ქუჩები.

11. მუნიციპალიტეტში მთლიანად არის ლიკვიდირებული სტიქიური ნაგავსაყრელები;
12. ზედამხედველობის ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება წლიური სამუშაო გეგმით.
    ჯგუფის მიერ მიმდინარე წლის 9 თვე დასრულდა შემდეგი მონაცემებით: დაჯარიმებულია **185** ფიზიკური პირი, თანხა შეადგენს **17060** ლარს ,გაფრთხილებულია **59** ფიზიკური და იურიდიული პირი. საერთო მონაცემებით ჯარიმის თანხა არის **17450** ლარი,
13. 2025 წლის 1 ოქტომბრისთვის ა.(ა) ი.პ. ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრში'' შტატით დასაქმებული იყო **503** მუშა-მოსამსახურე პირი და შტატგარეშე **5** პირი.
    - ცენტრში დასაქმებულთა რიცხვი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისთვის შემცირდა **3** ერთეულით.
14. 2025 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ცენტრში დასაქმებული იყო **141** სოციალურად დაუცველი პირი
15. გაწეული მომსახურების მოსაკრებლის სახით ადგილობრივ ბიუჯეტში 2025 წლის 9 თვეში მიღებული იქნა **584,8** ათასი ლარი, **38,2** ათასი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით, მათ შორის : იურიდიული პირებიდან ამოღებულია **504,1** ათასი ლარი.+**30,4** ლარით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან და მოსახლეობიდან **83,3** ათასი ლარი +**7,8** ლარით მეტი გასულ წელთან შედარებით.
16. მთავრობის დადგენილების შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუნიციპალიტეტის ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის მომზადებას საკურორტო სეზონისათვის. 2025 წლის 9 თვეში ტექნიკის გამოყენებით , სრულად იქნა აღდგენილი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული საკურორტო ინფრასტრუქტურა. ზღვის ამონაყარისაგან სისტემატიურად იწმინდებოდა ზღვის სანაპირო ზოლის ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპიროს მთლიანი პერიმეტრი.

- **ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“**

ააიპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მიერ 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 1ოქტომბრამდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან საბიუჯეტო ასიგნების სახით მიღებულ იქნა 1 337 731.82 ლარი. აღნიშნულ პერიოდზე საკასო ხარჯმა შეადგინა 1 335617.27 ლარი. **საკუთარმა შემოსავლებმა მიმდინარე წლის** მიერ 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 1ოქტომბრამდე **შეადგინა 273 973.38ლარი.**

საანგარიშო პერიოდში შესყიდვების განყოფილების მიერ გაფორმებულ იქნა 107 ხელშეკრულება, მათ შორის 100 - გამარტივებული შესყიდვის წესით, 6 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, ხოლო 1 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში. სახელშეკრულებო თანხამ ჯამში შეადგინა 175 072,31 ლარი. აქედან, 145033,01 გამარტივებული შესყიდვა, 24 139,30 ლარი -კონსოლიდირებული ტენდერით, ხოლო 5900 ლარი ელექტრონული ტენდერით. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა: ა(ა)იპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის საკუთარი შემოსავლები - 16949531 ლარი; ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი - 5577 ლარი.

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები:

2024 წლის ოქტომბრის თვიდან ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე პროექტი „გამხმარი ხეების ახალი სიცოცხლე“ დაიწყო და აქტიურად გრძელდება. პროექტის ფარგლებში ბაღის სხვადასხვა ლოკაციაზე 6 ხის ქანდაკებაა განთავსებული.

2024 წლის ნოემბრის თვეში ბოტანიკური ბაღის დარბაზში ჩატარდა ივეტა წითაშვილის ფოტო გამოფენა, რომელსაც 80-მდე სტუმარი დაესწრო.

14-15 ნოემბერს ბოტანიკურმა ბაღმა მონაწილეობა მიიღო „ბათუმის ბულვარი“-ს მიერ ორგანიზებულ საერთშორისო კონფერენციაში.

2024 წლის 3 და 10 დეკემბერს ბაღის საკონფერენციო დარბაზში შედგა მოსწავლეებთან შეხვედრა ეკოლოგიის როლზე და მნიშვნელობაზე. შეხვედრებს სხვადასხვა სკოლის 60-მდე მოსწავლე დაესწრო.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ცენტრალური ბიბლიოთეკისა და წიგნის მოყვარული ახალგაზრდების საზოგადოება B612-ის ორგანიზებით ჩატარდა ახალგაზრდული საღამო, რომელსაც 80-მდე სტუმარი ესწრებოდა. სოციალური მედიის საშუალებით პერიოდულად ხდება საზოგადოების ინფორმირება ბაღში მიმდინარე სამუშაობის შესახებ . ბოტანიკური ბაღის ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნდა 70 პოსტი.

ბაღის სხვადასხვა ტერიტორიაზე ღია სივრცეში დაირგო როგორც ნაჩუქარი, ასევე საკუთარი ძალებით გამოყვანილი და შესყიდული ნერგები სულ: **26272** ერთეული. მათ შორის ხე-ბუჩქი 1122, ბალახოვან-ყვავილოვანი 25149, ლიანა 1 ერთეული;

სათბურში არსებული დაკალმებული და ქოთნებში ჩარგული მცენარეები სულ **20844**. მათ შორის **8868** ხე-ბუჩქი და **11976** ბალახოვან-ყვავილოვანი.

სულ მოეწყო 12 ახალი ყვავილნარი. 5-გადაჭრილი ხის მორზე და 7 ღია სივრცეში. წითელი და თეთრი სალვიებით განახლდა 1 გულის ფორმისა და 2 დროშის ფორმის საყვავილე. ასევე ყვავილნარებით მოეწყო სხვადასხვა ფერის ხავერდულებით, ცელოზიებით, აგერატუმებით და სალვიებით; შეივსო რცხილების ხეივანი 15 ძირი კავკასიური რცხილას ნერგით.

სისტემეტიურად მიმდანარეობს, როგორც ორანჟერიის მცენარეების, ასევე ღია გრუნტში არსებული ხე-ბუჩქების და მოყვავილე ქოთნის მცენარეების, კომპლექსური სასუქებით გამოკვება და მავნებელ დაავადებათა საწინააღმდეგოდ პრევენციის მიზნით აგრო-ტექნიკური ღონისძიებების გატარება.

**სამეცნიერო მიმართულება:** ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნდა 4 სამეცნიერო ნაშრომი (ვენა, ავსტრია კოპენჰაგენი, დენმარკი, ზუგდიდი, ბათუმი ).

ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს ბაღის ტერიტორიის, შენობა-ნაგებობებისა და საპირფარეშოების დასუფთავება, ასევე ბაღში არსებული სკამების, ნაგვის ურნებისა და ნათურების გაწმენდა-დასუფთავება.

საჭიროებისამებრ ხორციელდება სხვადასხვა ტექნიკური თუ სარემონტო / აღდგენითი სამუშაოების, როგორიცაა შეკეთება, განახლება და ა.შ. , შესრულება.

სეზონისდა მიუხედავად, ბაღის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ცენტრალური ბილიკის, ასევე დამატებითი ბილიკების (ჯამური სიგრძე 7.5კმ.) ფოთლებისგან დასუფთავება ე.წ. ჰაერდამბერი აპარატის საშუალებით. დასრულდა ბაღის სკამების რესტავრაცია (შეკეთება-შეღებვა).

ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში, 2025 წლის 21 აგვისტოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობის N 612/154 საფუძველზე, მოჭრილი და გადატეხილი ხე-მცენარეების შედეგად დაჭრილ - დასაწყობებული საშეშე მერქანი, გადაეცა მიღება - ჩაბარების გზით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრს“ , შემდგომში, სოციალურად დაუცველი და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მყოფი მოქალაქეებისთვის გადასაცემად.

- **ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“**

საანგარიშო პერიოდში ცენტრში სულ დასაქმებული იყო **303 (სამას სამი)** თანამშრომელი. აქედან ძირითად საშტატო ერთეულზე **280 (ორას ოთხმოცი)** თანამშრომელი, ხოლო შტატგარეშედ, დასაქმებული იყო **23 (ოცდასამი)** თანამშრომელი. 2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 1 ოქტომბრამდე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან სულ გაწეულია ხარჯი **5 591 814 (ხუთი მილონ ხუთას ოთხმოცდათერთმეტი ათას რვაას თოთხმეტი)** ლარი.

2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 1 ოქტომბრამდე საკუთარი სახსრებიდან შემოსულია **62 575 (სამოცდაორი ათას ხუთას სამოცდათხუთმეტი)** ლარი, შესაბამის პერიოდში სულ გაწეულია ხარჯი **96 673 (ოთხმოცდათექვსმეტი ათას ექვსას სამოცდაცამეტი)** ლარი და 2025 წლის 1ოქტომბრისათვის ნაშთი შეადგენს **9 088 (ცხრა ათას ოთხმოცდარვა)** ლარს. საანგარიშო პერიოდში საკუთარი შემოსავლებიდან გაწეულია ხარჯი **65 004 (სამოცდახუთი ათას ოთხი)** ლარი.

ცენტრის მიერ 2024-25 წელს შესრულებული სამუშაოები:

**გზის მოსწორება - 10550 მეტრი. მინი სტადიონის მოწყობა - 2000 კვ/მეტრი. სანიაღვრე არხის ამოწმენდა და მოწყობა - 8810 მეტრი; მილების ჩადება და ხიდბოგირების მოწყობა - 14 ერთეული. სტიქია (დიდთოვლობა) გზების გაწმენდა – 33600 მეტრი. სულ გაიხარჯა საწვავი - 6824.11 ლიტრი.**

**მიწაყრილების მოსწორება და ნაპირსამაგრი სამუშაოები - 17537.01 მ/3. სულ გაიხარჯა საწვავი - 8775.59 ლიტრი.**

**მოშანდაგება და გზის მოსწორება - 22420 მეტრი. სტიქია (დიდთოვლობა) გზების გაწმენდა - 34200 მეტრი. სულ გაიხარჯა საწვავი - 3472 ლიტრი. მინი სტადიონის მოწყობა - 2000 კვ/მეტრი.**

**გარე - განათების ქსელის მოვლა პატრონობის მიზნით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 105 733 (ას ხუთი ათას შვიდას ოცდაცამეტი) ლარი. საახალწლოდ ქალაქგანათებისთვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინმა - 126 116 (ას ოცდაექვსი ათას ას თექვსმეტი) ლარი. წყალმომარაგების ქსელის მოვლა-პატრონობისა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად გაწეულმა ხარჯებმა ჯამურად შეადგინა - 17 161 (ჩვიდმეტი ათას ას სამოცდაერთი) ლარი.**

**ქალაქის გამწვანებისა და ნარგავების მოვლა-პატრონობაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 55 495 (ორმოცდათხუთმეტი ათას ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.**

2024 წლის **01 ნოემბრიდან 2025 წლის 15 ოქტომბრამდე** პერიოდში ფიზიკური პირებისაგან შემოსული **259 განცხადების საფუძველზე** გაცემული იქნა **5545 მ/კვ** სასაფლაო მიწის ფართობი, საიდანაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 04 მაისით **N51** დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის წესი"-ს შესაბამისად გათვალისწინებული საფლავის (სამარის) გამოყოფისა და მმართველის ა(ა) კეთილმოწყობის მარტის ცენტრი") მიერ გაწეული მომსახურების საფასურის სახით შემოსულმა თანხამ შეადგინა **63 845 (სამოცდასამი ათას რვაას ორმოცდახუთი) ლარი.**

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეების განცხადების საფუძველზე უფასოდ გაცემული იქნა **252 მ/კვ** სასაფლაო მიწის ფართობი. 2025 წლის **13** ოქტომბრის მდგომარეობით სასაფლაო მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის არსებული დებიტორული დავალიანება შეადგენს **1 653 ( ერთი ათას ექვსას ორმოცდაცამეტი)** ლარს.

**საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში ,,ცენტრი"-ში სხვადასხვა პოზიციებზე დასაქმებული იყო 23**1 **(ორას ოცდათერთმეტი) სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი ბენეფიციარი.**

**ცენტრის მიერ ზუგდიდის მუნიციპლაიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი სამუშაოებისთვის გახარჯულ იქნა სულ 147 108 (ას ორმოცდა შვიდი ათას ას რვა) ლარი.**

დოკუმენტბრუნვისა და საქმის წარმოების სპეციალისტები ახდენდნენ „ცენტრი"-ში შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციას, უზრუნველყოფდნენ გასაგზავნი კორესპონდენციის ადრესატებისათვის მათთვის სასურველი ფორმით მიწოდებას (ელ. ფოსტა, ფოსტა, სატელეფონო ზარით დაუწყება). მოქალაქეთა კონსულტაციას მათ მიერ წარმოსადგენ განცხადებებთან მიმართებაში. ასევე „ცენტრი"-ში მატერიალური ფორმით დაქვემდებარებული სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებების რეგისტრაციას. სულ **შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა:-3 794; გასული კორესპონდენციის რაოდენობა: 1032.**

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების მიზნით, გაფორმდა სულ **121 (ას ოცდაერთი)** სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება. გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით გასათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, შეადგინა 1 **535 736 (ერთი მილიონ ხუთასოცდათხუთმეტი ათას შვიდასოცდათექვსმეტი) ლარი.** აქედან საკუთარი შემოსავლებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს **87 690 (ოთხმოცდაშვიდი ათას ექვსას ოთხმოცდაათი)** ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნება **1 448 046 (ერთი მილიონ ოთხასორმოცდარვა ათას ორმოცდაექვსი)** ლარს.

## ➢ განათლების პრიორიტეტის დაფინანსება

- **განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება**

**საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა:**

2024 წლის 01 ნოემბრიდან 2025 წლის 01 ნოემბრამდე გაიხარჯა 79 219.05 ლარი. აღნიშნული თანხა მიიმართა შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

**მასწავლელის ეროვნული დღის ღონისძიება:**

მასწავლებლის ეროვნულ დღესთან დაკავშირებით ღონისძიება ჩატარდა 2024 წლის 16 ოქტომბერს. ღონისძიების მიზანია პედაგოგების წახალისება და მოტივაციის ამაღლება. მოწვეული იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 57 საჯარო და კერძო სკოლის თითო წარმატებული პედაგოგი. ღონისძიება გაიმართა ნიკოსეულ სასახლეში, მასწავლებლებს გადაეცა ყვავილების თაიგული, სერთიფიკატები და ფულადი ჯილდო.

**რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეების და მათ პედაგოგების დაჯილდოება:**

ღონისძიება ტარდება ყოველწლიურად და ითვალისწინებს რესპუბლიკურ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეების წარმოჩენას, მათი მოტივაციის ამაღლებას და პედაგოგების ღვაწლის დაფასებას.მოსწავლეები და პედაგოგები მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა და საჩუქრად გადასცა წიგნები, ყვავილები და სიგელები.

**დედაენის დღე:**

პროექტის მიზანია ქართული ენის სწავლის მოტივაციის ამაღლება და ენის შესახებ ცნობიერების ამაღლება. ენის სახელმწიფო სტატუსის განმტკიცების ხელშეწყობა. ღონისძიება გაიმართა ტრადიციულად 14 აპრილს. იაკობ გოგებაშვილის ძეგლი შეიმკო ყვავილების თაიგულით და ღონისძიებაში მონაწილე დაწყებითი კლასის მოსწავლეებს და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები.

**მასწავლებელთა რეგიონალური კონფერენცია:**

24-25 ივნისს ჩატარდა მასწავლებელთა რეგიონალური კონფერენცია თემაზე - ,,თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენება სწავლის პროცესში“., რომელშიც მონაწილეობა მიიღო განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლებმა, რეგიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსებმა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგებმა. კონფერენციის მიზანია დაგროვილი წარმატებული გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

**მოსწავლეთა საზაფხულო ლიტერატურული ბანაკი 2025:**

ლიტერატურული ბანაკი მოეწყო ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში 30 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით. ბანაკში მოანაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლის 27 მოსწავლემ და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 სტუდენტმა. განხორციელდა სატრენინგო მომსახურება ლიტერატურული უნარების შესახებ.მოწვეული იყვნენ ცნობილი ადამიანები, რომლებმაც ჩაატარეს ტრენინგები ლიტერატურაზე და პოეზიაზე. ბანაკის განმავლობაში მონაწილეებმა შექმნეს

ლიტერატურული ნიმუშები, რომელიც გამოიცა წიგნის სახით სახელწოდებით - ,,ჩანაწერები ლიტერატურული ბანაკიდან“.

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა:**

2014 წლის 01 ოქტომბრიდან 2025 წლის 01 ოქტომბრამდე გაიხარჯა 367 700 ლარი. აღნიშნული თანხა მიიმართა შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

**მერის სახელობის სტიპენდია:**

მერის სახელობის სტიპენდია დანიშნული ქონდა 104 წარჩინებულ სტუდენტს. მერის სტიპენდია ვრცელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტებზე, რომლებიც სწალობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე. მერის სტიპენდია წესდება თვეში 250 ლარის (არსებული გადასახადების ჩათვლით) ოდენობით.

**ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური ხელშეწყობა:**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩარიცხული სტუდენტების ფინანსურ ხელშეწყობას. სტუდენტის დაფინანსება განისაზღვრება შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით სემესტრულად არაუმეტეს 1500 ლარით.

**არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა:**

ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარებისთვის ფინანსური ხელშეწყობა და ითვალისწინებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა (საგანმანათლებლო ან/და პროფესიულ) პროგრამებში მონაწილეობის მიღებისთვის მგზავრობის თანხის დაფინანსება/თანადაფინანსებას; სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში და სხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების მიზნით მგზავრობის ან/და საწევრო გადასახადის დაფინანსება/თანადაფინანსებას, სხვადასხვა სფეროს (სახელოვნებო, რეწვის, ტექნოლოგიების და სხვა) წარმომადგენლების პროფესიული საქმიანობის განვითარებისთვის ფინანსურ მხარდაჭერას. ქვეპროგრამით მერიის მიერ გაწეული დაფინანსება/თანადაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 2000 (ორი ათასი) ლარს.

**საჯარო და კერძო სკოლის კურსდამთავრებულ მედალოსანთა დაჯილდოება:**

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისების და წარმატებულ მოსწავლეთა წარმოჩენის მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ შედგა შეხვედრა მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის 160 მედალოსან კურსდამთავრებულთან, რომელთა შორის 146 ოქროს და 14 ვერცხლის მედალოსანი იყო. ღონისძიება გაიმართა 30 აგვისტოს . მოწვეული იყო მუსიკალური შემსრულებლები. მედალოსან მოსწავლეებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა და ხელმძღვანელმა პირებმა საჩუქრად გადასცეს სიგელები და წიგნები ჩანთით.

2025-2026 სასწავლო წლისთვის მერის სტიპენდიანტი გახდა 129 სტუდენტი,მათ შორის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტია 15, სადოქტორო პროგრამის - 3, იუნკერი -3. სტიპენდიანტებიდან ადგილობრივია 92, დევნილი - 37.

**შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამა ითვალისწინებს უნივერსიტეტის, როგორც განათლების სფეროში რეგიონული ცენტრის ერთადერთი აკრედიტებული უნივერსიტეტის ხელშეწყობას, რომელიც უზრუნველყოფს შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე კონკურენტიანი მაღალკვალიფიციური კადრის მომზადებას. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია გამოხატავს მზაობას მცირედი წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის განვითარებაში, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტმა შეძლოს შექმნას მიმზიდველი გარემო ყველა სამიზნე ჯგუფისთვის და შეასრულოს მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს აფხაზეთიდან დევნილი სტუდენტების ინტეგრაციას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

- **ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშო ბაღი; მათგან 18 - ქალაქში, ხოლო 45- ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი. სულ 3553 ბავშვთა კონტიგენტით; სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 1186 თანამშრომელი, 164 სააღმზრდელო ჯგუფით;

ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი, გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ,ზუგდიდის მერიის შესაბამისი სამსახურების ჩართულობით, უზრუნველყოფენ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2030 წლის 1 იანვრამდე, მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან დაიწყონ და დაასრულონ როგორც საჯარო, ისე კერძო საბავშვო ბაღების ავტორიზაცია.

მთავრობის მიერ დამტკიცებული ავტორიზაციის წესის მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციას ანხორციელებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, (2030 წლის 1 იანვრამდე). მიმდინარე წელი წარმოადგენს ერთგვარ მოსამზადებელ პერიოდს, ხოლო ამ გარდამავალი პერიოდის კერძოდ, 2025 წლის შემდეგ ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ეტაპობრივი ავტორიზაცია მოხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად.

ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დაიგეგმა: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით

განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, საბავშვო ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ეტაპობრივად მიმდინარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების თანამშრომელთა გადამზადება „აღმზრდელ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“-ს მიხედვით გადამზადდა 150 აღმზრდელი და საბავშვო ბაღის გამგეები, 66 საათიანი ტრენინგ-კურსის დასასრულს, მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შედეგად მათ გადაეცათ სერტიფიკატები,რომელსაც ორგანიზებას უწევდა ტენდერში გამარჯვებული აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აღნიშნული ტრეინგ-მოდულით დაგეგმილია, ეტაპობრივად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალის სრულად გადამზადება.

საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი დარეგულირებულია "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით, "აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #478 დადგენილებით.

ჩამოყალიბებული სახელფასო პოლიტიკის თანახნად, 2024-25 წელსაც გაგრძელდა შრომის ანაზღაურების ზრდა. საბავშვო ბაღის და ადმინისტრაციულ პერსონალს თანამდებობრივი სარგო გაეზარდათ 10%-ით და დამატებით 125 ლარით.

მიმდინარე წელს ექსპლუატაციაში შევიდა ახალ აშენებული,სტანდარტების შესაბამისი: შამგონის, ქვემო კახათის და დარჩელის N1 , ოდიშის ,,ოდიშის“ და ერგეტის საბავშვო ბაღები, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელედა. ასევე იგეგმება 2026 წლამდე კახათის ,,რწმენა“, ნარაზენის N2, რიყის, ცაცხვის და ოქტომბრის საბავშვო ბაღების ექპლუატაციაში შესვლა. აგრეთვე აშენებულია და ეტაპობრივად ექსპლუატაციაში შევა: რუხის, ჭითაწყარის, ინგირის წითელქუდა და N5 საბავშვო ბაღები.

- **კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსება**

- **განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება**

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებებზე, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციის, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის, აქტივობების დასაფინანსებლად. და ახალგაზრდული პროგრამების განსახორციელებლად 2024 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის ოქტომბრამდე ათვისებულ იქნა: **71 025,21 ლარი,** აღნიშნული თანხა გაიხარჯა შემდეგი სახის ღონისძიებებზე კერძოდ:

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა:**

ახალგაზრდებზე მომუშავე ორგანიზაციების პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ემსახურება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არაფორმალური განათლების მხარდაჭერას, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას გასართობ, შემეცნებით და სპორტულ აქტივობებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობას, მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერას, ახალგაზრდების ნიჭისა და უნარების განვითარებას და მათი მოტივაციის ამაღლებას. პროგრამის ფარგლებში 2025 წელს დაფინანსდა 1 პროექტი

რიყის ადმინისტრაციულ ერთეულში პროექტის ფარგლებში ჩატარდა სახალხო დღესასწაული - „რიყეობა 2025“, რომელიც მოიცავდა სპორტულ, შემეცნებით და კულტურულ აქტივობებს. მოეწყო საფეხბურთო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რიყის, ტყაიის, განმუხურის, ზედაეწერის და რუხის ახალგაზრდებმა, ასევე მოეწყო შემეცნებითი სივრცეები. დღის ბოლოს სადღესასწაულო კონცერტი გაიმართა.

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით განხორციელებული ღონისძიებები:**
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია უკვე ტრადიციულად ხელს უწყობს მასობრივი სპორტის განვითარებას ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართვას სპორტის სხვადასხვა აქტივობაში. „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“ პროექტის ფარგლებში ერთმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა მონაწილეობა მიიღო ეტლით თხილამურების ჩემპიონატში, დაბა ბაკურიანში.

ზუგდიდის სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი ,,მეგრის“ ჩემპიონატში („MASTER LEAGUE“) ჩართვა; ჯანსაღი და სპორტული ცხოვრების წესის დამკვიდრება; ფეხბურთის მასობრიობის გაზრდა; 7X7 ფეხბურთის განვითარება და ვეტერანი ფეხბურთელების ჩართვა ფეხბურთში; 7X7 ფეხბურთის რეგიონალური ნაკრების ფორმირება და საერთაშორისო ასპარეზზე მონაწილეობის მიღება.

სხვადასხვა ღონისძიებისთვის დაკავშირებით ბრენდირებული მაისურების დამზადება-შესყიდვა

**საცხენოსნო შეჯიბრი ეროვნულ სახეობებში - ,,ზუგდიდის დიდი თასი 2024“:**
სპორტული და ტრადიციული ცხენოსნობის პოპულარიზება, ზუგდიდის

მუნიციპალიტეტის სახელით ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებული ცხენოსნობის ეროვნული (ისინდი, ცხენბურთი, დოღი, მარულა) და კლასიკური სახეობის შეჯიბრებებში (კონკურსი) მონაწილეობა და ახალგაზრდების დაინტერესება სპორტის ამ სახეობით.

ოირემეს ადმინისტრაციულ ერთეულში საცხენოსნო შეჯიბრი ,,ზუგდიდის დიდი თასი-2024" გაიმართა ცხენოსნობის შვიდ ეროვნულ სახეობაში;

- **ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919"**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919" ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს ბავშვთა და მოზარდი თაობის მეთოდური აღზრდისა და დაოსტატებისათვის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919"-ის პროფილის შესაბამისად.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919"-ის მიზანია ფეხბურთის, როგორც მასობრივი სპორტის განვითარება, ოფიციალურ საფეხბურთო მატჩებში და სხვადასხვა რანგის საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა. აქტიური ჩართულობა ახალგაზრდების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში. საფეხბურთო კლუბის მიზანია სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდების გამოვლენა, მათი მხარდაჭერა, სპორტსმენთათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, საწვრთნელი ფორმებით უზრუნველყოფა, სამედიცინო დიაგნოსტიკური მომსახურების უზრუნველყოფა და მწვრთნელთა გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

2024 წლის 3 აპრილს დაიწყო ლიგა 4-ის ოფიციალური მატჩები. 2024 წელს ჩაატარა 28 საშინაო და გასვლითი მატჩი, სატურნირო ცხრილში 61 ქულით დაიკავა 3-ე ადგილი და კლუბი დაწინაურდა ლიგა 3-ში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დებულების თანახმად ლიგა 3-ში ასპარეზობისთვის კლუბმა 2024 წელს აიღო 2025-2026წწ ეროვნული ბ ლიცენზია.

2024 წელს საფეხბურთო კლუმა გაიარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სკოლების კატეგორიზაციის პროცესი და აიღო III კატეგორია და დაფინანსდა 8000,00 ლარით. აღნიშნული თანხით შესყიდულ იქნა სავარჯიშო ბურთები და სპორტული ინვენტარი.

2024 წელს კლუბის საფეხბურთო სკოლის სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები, მონაწილეობდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციისა და სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში.

- U10,U11,U12,U13,U14 - წარმატებით იღებდა მონაწილეობას სრფფ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში;

- U16 - მიიღო მონაწილეობა ირფფ-ს მიერ ორგანიზებულ რამაზ შენგელიას სახელობის თასის გათამაშებაში, სატურნირო ცხრილში გუნდმა დაიკავა IV ადგილი;

- U15 და U17 იღებდა მონაწილეობას სფფ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა ლიგაში, კერძოდ, „ვერცხლის ლიგა"-ში. U17-მა ჩაატარა 24 საშინაო და გასვლითი მატჩი, სატურნირო ცხრილში დაიკავა IV ადგილი. U15-მა ჩაატარა 26 საშინაო და გასვლითი მატჩი, სატურნირო ცხრილში დაიკავა III ადგილი.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ასპარეზობს ეროვნულ ლიგა 3-ში, 2025 წელს მზადება ჩემპონატისთვის დაიწყო 1 თებერვლიდან. პირველ წრეს გუნდი დაკომპლექტდა ადგილობრივი, 3 უცხოელი და 9 მოწვეული ფეხბურთელით. დაკომპლექტებისთანავე ინტენსიურად მიმდინარეობდა ვარჯიშები და ამხანაგური მატჩები, 2025 წლის 26 მარტს დაიწყო ლიგა 3-ის ოფიციალური მატჩები. 2025 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ჩაატარა 20 საშინაო და გასვლითი მატჩი, სატურნირო ცხრილში 45 ქულით იკავებს 2-ე ადგილს. კლუბს აქვს რეალური შანსი დაწინაურდეს ლიგა 2-ში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დებულების თანახმად ლიგა 2-ში ასპარეზობისთვის კლუბმა 2025 წელს უნდა გაიაროს 2026-2027წწ ეროვნული ა ლიცენზია.

2026-2027 წწ ლიცენზირების პროცესისათვის მზადება დაიწყო ივლისის თვეში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ექსტრანეტის პლატფორმაზე იტვირთება დოკუმენტაცია ზოგად, სამართლებრივ, საკადრო-ადმინისტრაციულ, სპორტულ, ინფრასტრუქტურულ, სოციალურ პასუხისმგებლობასა და ფინანსურ კრიტერიუმებში.

2025 წელს საფეხბურთო კლუმა გაიარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სკოლების კატეგორიზაციის პროცესი და აიღო II კატეგორია და მიენიჭა საფეხბურთო სკოლის სტატუსი.

2025 წელს კლუბის საფეხბურთო სკოლის სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები, წლის დასაწყისიდან ჩართულები არიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციისა და სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში. კლუბს ძირითადი გუნდის და რეგიონალური ლიგის გარდა ჰყავს 7 ასაკობრივი კატეგორიის გუნდი:

- U10,U11,U12,U13,U14 - წარმატებით იღებს მონაწილეობას სრფფ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში;

- U15 და U17 იღებს მონაწილეობას სფფ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა ლიგაში, კერძოდ, „ვერცხლის ლიგა“-ში.

- რეგიონალური ლიგა (ძირითადი გუნდის ფარკლები) იღებს მონაწილეობას იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატში.

2025 წლის მაისს ქუთაისში „თამაზ კოსტავა“-ს სახელობის ტურნირი გარდამავალ თასზე თორმეტწლამდელთა გუნდებს შორის ჩატარდა. ოდიშელთა თორმეტწლამდელები ფინალში გავიდნენ. ოდიშელებმა ნახევარფინალში წყალტუბოს "სამგურალი" დიდი ანგარიშით 4:1 დაამარცხეს. ფინალში კი მათი მეტოქე გამარჯვებული ფოთის "კოლხეთი 1913"გახლდათ.

ტურნირი ფინიშზე, როგორც მოსალოდნელი იყო პრიზები გადაეცა ინდივიდუალისტებს - ოდიშელთაგან პრიზები ოთხ ფეხბურთელს გადაეცა - ტურნირის საუკეთესო მცველის პრიზი საბა თოდუას გადაეცა, ტურნირის ყველაზე საზრიან მოთამაშედ დემეტრე იზორია დასახელდა, ტურნირის აღმოჩენა გიორგი კაკულია გახდა, ხოლო ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად - ანდრია ლეჟავა აღიარეს.

ქუთაისში მიმდინარე წლის ივნისის თვეში, საფეხბურთო კლუბ „სერვალი“-ს მიერ ორგანიზებულ ტურნირში „kutaisi Junior cup” მონაწილეობა მიიღო და ფინალში გავიდა საფეხბურთო კლუბის U11-ის ასაკობრივი გუნდი.

U14-ის ასაკობრივმა გუნდა 2025 წლის ივლისის თვეში მონაწილეობა მიიღო ფოთში ვეტერანი ფეხბურთელის, აწგარდაცვლილი ნუგზარ თვარაძის სახელობის ტურნირში - "თვარას თასი 2025“.

საზღვაო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად, საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის ორგანიზებით გაიმართა ტურნირი მინი-ფეხბურთში „ზაფხულის თასი“. ღონისძიება ჩატარდა ზუგდიდის მერიისა და შ.პ.ს „ANAKLIA-GANMUXURI RESORTS“-ის თანადგომით. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციამ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის იურიდიულმა პირებმა,

- **განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილება**

**აღნიშნულ პეროდში განხორციელებულ ღონისძიებებზე საერთო ჯამში გაიხარჯა 378 485, 40 ლარი, რომელიც მიიმართა შემდეგ ღონისძიებებზე:**

- 2024-2025 წლის საახალწლო და საშობაო დღესასწაულებთან დაკავშირებით ღონისძიებების ორგანიზებისთვის - **ბიუჯეტი 88 770 ლარი.**
- 2024-2025 წლის საშობაო და საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში 31 დეკემბერს „ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად“ კონცერტი - **ბიუჯეტი 50 000 ლარი.**
- 2024-2025 წლის საშობაო და საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში სადღესასწაულო ბანერების და კალენდრების ბეჭდვა - **ბიუჯეტი 8 610 ლარი.**
- 31 მარტის პირველი ქართული რეფერენდუმისა და 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - **ბიუჯეტი 2 400 ლარი.**
- ჯანსუღ კახიძის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით, კვარტეტი „რანინას“ კონცერტი - **ბიუჯეტი 5 000 ლარი.**
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გაცილების საზეიმო ცერემონიასთან დაკავშირებით სიმებიანი კვარტეტის კონცერტი - **ბიუჯეტი 3 720 ლარი.**
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დამსახურებული მოღვაწეების დაჯილდოების ცერემონია - **ბიუჯეტი 1 854 ლარი.**
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დამსახურებული მასწავლებლების დაჯილდოების ცერემონია - **ბიუჯეტი 2 880 ლარი.**
- ზუგდიდის საპატიო მოქალაქისა და საპატიო ზუგდიდელის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებული ცერემონიის ორგანიზება ყველა თანმდევი მომსახურებით - **ბიუჯეტი 182 955, 40 ლარი.**
- სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე ყვავილების თაიგულების გადაცემა (სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლის „ბილეთი უკანასკნელი სპექტაკლისთვის“ საპრემიერო ჩვენება, ჯანსუღ კახიძის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ააიპ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართული კონცერტი, 1924 წლის აჯანყების დროს რეპრესირებულთა მემორიალის შემკობა, კლასიკური მუსიკის IV საერთაშორისო ფესტივალი, საქართველოს კულტურის სამინისტროს პროექტი ,,მუსიკალური ზაფხული“, საპატიო წოდების დაჯილდოების ცერემონია) - **ბიუჯეტი 1 546 ლარი.**

- **27 სექტემბერი -** სოხუმის დაცემის დღე - **ბიუჯეტი 750 ლარი.**
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ,,კულტურის სფეროს პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სამი პროექტი: ,,ელენეს საღამოები“, ,,ელექტრონული მუსიკის საღამო“, ,,ქართული გალობის საგანმანათლებლო პროექტი ზუგდიდში - ტრადიციის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი მაგალითი“ - **ბიუჯეტი 30 000 ლარი.**
- ზუგდიდის თეატრის პოპულარიზაციის მიზნით, ორი სპექტაკლის (,,ფრანკენშტეინი“, ,,მარინა რევია“) სადადგმო ხარჯებისთვის - **ბიუჯეტი 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.**

**განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილება**

**აღნიშნულ პერიოდში გაიხარჯა 184 763 (ასოთხმოსდაოთხიათასშვიდასსამოცდასამი) ლარი, რომელიც მიიმართა შემდეგ ღონისძიებებზე:**

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამის ეგიდით, განხორციელდა მოსწავლე - ახალგაზრდებს შორის სამეცნიერო კონფერენცია **,,ნორჩი მკვლევარი 2024“,** რომლის ფარგლებში მიმდინარე წლის 2 და 3 ნოემბერს, ფინალურ ტურში გამარჯვებული და წარჩინებული მოსწავლე - ახალგაზრდებისთვის დაბა ყაზბეგში მოეწყო შემეცნებით - საგანმანათლებლო ტურის ორგანიზება.
  **ბიუჯეტი**: 8470 (რვა ათას ოთხასი) ლარი.

- 2025 წლის 20 -21 -22 ივნისს, ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა VII საერთაშორისო კავკასიური ლიტერატურული ფესტივალი - ,,ანაკლია 2025“.
  **ბიუჯეტი**: 15 567 (თხუთმეტი ათას ხუთასსამოცდაშვიდი) ლარი;

- ,,ნორჩი მკვლევარი 2025“ ,,ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას“ კონკურსის ფარგლებში, ფინალურ ტურში გამარჯვებული მოსწავლე-ახალგაზრდების დაჯილდოებისათვის სასაჩუქრე ნაბეჭდი წიგნების შესყიდვა.
  **ბიუჯეტი**: 1616 (ათას ექვსას თექვსმეტი) ლარი.

  - სსიპ დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმის მიზნობრივი პროექტის ხელშეწყობის მიზნით (კერძოდ, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღთან, ტურისტულ - შემეცნებითი სახის ერთობლივი პროექტების ინტეგრაცია) 2 (ორი) ერთეული ელექტრო სკუტერის (Segway Ninebor Kickscooter Max G2) შესყიდვის მიზნით ფინანსური დახმარების განხორციელება.
    **ბიუჯეტი:** 4110 (ოთხი ათას ასათი) ლარი.

  - სსიპ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურულ მუზეუმში XIX საუკუნის 4 დიდი ზომის მართლმადიდებლური ხატის რესტავრაცია-რეაბილიტაციის მომსახურებისთვის.
    **ბიუჯეტი:** 20(ოცი ათასი) ლარი.

## რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა

- ზუგდიდის 2024 წლის ორგანიზაციული ბიუჯეტის, 05 02 06 კოდით გათვალისწინებული რელიგიის ხელშეწყობის პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილი იყო 135 000 (ას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი, რომელიც სრულად გაიხარჯა.აღნიშნული თანხა მიმართული იყო ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა მონასტრის მშენებლობა. **ბიუჯეტი:**135(ასოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

- **ა (ა)ი პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი**

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრის" ბიუჯეტი 2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე შეადგენს 223142 ლარს. ხელოვნებისდა და კულტურის განვითარების ცენტრის საკასო შესრულება ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე შეადგენს 223142 ლარს. შემოსავალი საკუთარი სახსრებიდან 2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე შეადგენს 4578 ლარს. ნაშთი 01,10,2024 წლისთვის შეადგენს 7943 ლარს. ცენტრის საკასო შესრულება საკუთარი სახსრებიდან 2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე შეადგენს 5717 ლარს.

ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრს", ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის #30 დადგენილებით, 2025 წლის ასიგნება შეადგენს 1900000 ლარს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 მაისის #16 დადგენილებით გაიზარდა ასიგნება 50 000 ლარით და შეადგინა 1950000 ლარი.

ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრის", ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის #30 დადგენილებით, 2025 წლის ასიგნება შეადგენს 1900000 ლარს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 მაისის #16 დადგენილებით გაიზარდა ასიგნება 50 000 ლარით და შეადგინა 1950000 ლარი. ცენტრის საკასო შესრულება 2025 წლის 15

ოქტომბრის მდგომარეობით ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 1525736 ლარს. 2025 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით შემოსავალი საკუთარი სახსრებიდან შეადგენს 22791 ლარს.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ფუნქცია მრავალმხრივია, მისი მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარება, მაღალპროფესიულ დონეზე სივრცის შექმნა. ქართული ფოლკლორის, თეატრალური ხელოვნების, ადგილობრივი მუზეუმების, მხატვართა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ხელშეწყობა და განვითარება. ღვაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენა -პოპულარიზაცია.

სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის ქორეოგრაფთა კავშირის, ხელოვნებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრ ,,ოდიშის"ორგანიზებითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი"-ს მხარდაჭერით, ზუგდიდში გაიმართა ხელოვნების მე-9 ფესტივალი ,,საახალწლო მეჯლისი," სადაც მონაწილეობა მიიღეს ცენტრის ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა. ფესტივალის ფარგლებში გამართულ გალა კონცერტზე დაჯილდოვდნენ წლის წარმატებული ხელოვანები ტიტულით -,,ხელოვანი 2024".

პირველი არხის მუსიკალური პროექტის ,,ხალხური" მონაწილეობა მიიღო ცენტრის რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა ,,ჩელა"-მ. ტელეკომპანია იმედის ყოველწლიურ საახალწლო სატელევიზიო გადაცემაში ,,საშობაო მეჯლისი „მიწვეული გახლდათ ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი ,,ოდოია". პოს -TV ტელევიზიის გადაცემაში ,,გვიანი დილა" მიიწვიეს ცენტრის რეზო ბულიას სახელობის სიმღრისა და ცეკვის ანსამბლი ,,ჩელა" და ფოლკლორული ასნამბლი ,,ოდოია".

სამეგრელო -ზემო სვანეთის რეგიონის ქორეოგრაფთა კავშირის ორგანიზებითა და ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მხარდაჭერით გაიმართა მეგობრობის საღამო, სადაც მონაწილეობდნენ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა დაკულტურის განვითრების ცენტრი"' რეზო ბულიას სახელობის ქორეოგრაფიული ანსამბლ ,,ჩელას" უფროსი თაობა, აჭარის სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლ ,,არსიანის" უფროსი თაობა, აფხაზეთის ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის უფროსი თაობა, ხულოს კულტურის სახლის ფოლკლორული ანსამბლი ,,ხელგაშლილა" და სენაკის კულტურის სახლთან არსებული ,,კოლხური ტრიო".

ცენტრის ბავშვთა და მოზარდთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ცისკარი" მონაწილეობდა: კახეთში გამართულ ხელოვნების ფესტივალზე, თურქეთის რესპუბლიკაში ქ. მერსინში გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ფეტივალზე; ქალაქ ქუთაისში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე ,,მოგზაურობა დროში"; ქალაქ ბათუმში გამართულ ხელოვნების ფესტივალზე ,,ხორუმი"; ზემო სვანეთში - მესტიაში, საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ფესტივალზე სახელწოდებით ,,ეთნოსოფელი"; ქალაქ ფოთში გაიმართულ ,,კოლხურ-ლაზური" კონკურს - ფესტივალზე.

ზუგდიდში უკვე ტრადიციად ქცეული კლასიკური მუსიკის IV ფესტივალი გაიმართა. ღონისძიება 1 სექტემბერს , ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიხსნა, ხოლო 2 სექტემბერს - ზუგდიდის

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზოში დასკვნითი კონცერტით დაიხურა.

## ❖ ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“

2024-2025 სასწავლო წელი სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში ტრადიციულად დაიწყო შემოქმედებითი მუხტითა და ახალი იდეებით, მასწავლებლები და მოსწავლეები ახალი ენერგიითა და შემართებით შეხვდნენ საგაკვეთილო პროცესებს. დაიგეგმა საინტერესო ღონისძიებები, კონცერტები და შემოქმედებითი პროექტები. ადმინისტრაცია პედაგოგებთან ერთად მოემზადა კიდევ უფრო აქტიური, მრავალფეროვანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობისთვის. დაზუსტდა საგაკვეთილო ცხრილები, განახლდა  პროგრამები როგორც საგაკვეთილო, ასევე საკონკურსო, დაიგეგმა წლის განმავლობაში განსახორციელებელი შიდა კონცერტები და სხვადასხვა თემატური ღონისძიებები.

მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა საქართველოს მასშტაბით განხორციელებულ კონკურს-ფესტივალებში. სკოლებში, ლოკალურად ჩატარდა კამერული ტიპის კონცერტები, კლასიკური მუსიკის საღამოები, თემატური გამოფენები და სხვადასხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი და კულტურული  პროექტები, ჩაიწერა სადღესასწაულო აუდიო და ვიდეო კლიპები.

2024 წლის 3 სექტემბერს, სენაკის მუნიციპალიტეტში გაიმართა ავსტრიის კამერული ორკესტრის „არპეჯიონეს“ მასტერკლასი, რომელშიც მონაწილეობდნენ N1 სამუსიკო სკოლის საორკესტრო მიმართულების აღსაზრდელები.

2024 წლის 23-25 ოქტომბერს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, კლასიკური მუსიკის განვითარების ფონდის ორგანიზებით, გაიმართა თ. ამირეჯიბის სახელობის პიანისტთა მე-10 საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდა საგუნდო-სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს კლასის მოსწავლე დარე ცინდელიანი (მე-5 კლასი, პედაგოგი-ელისო ცანავა) და დაჯილდოვდა დიპლომით.

2025 წლის 15 მარტს, ქ. თბილისში, ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში, ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირის „ჰარმონია“-ს ორგანიზებით ჩატარდა მე-11 საიუბილეო, საერთაშორისო კონკურსი „ნორჩი ვირტუოზი“, რომელშიც მონაწილეობდნენ N2 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლის მოსწავლეები.

2025 წლის 20-22-29 მარტს, საქართველოს ხელოვანთა კავშირის „ხელოვანები მომავლისთვის“ ორგანიზებით, კლასიკური მუსიკის მე-18 ეროვნული კონკურს-ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავების“ შესარჩევი ტური გაიმართა, რომელშიც წარმატებით მონაწილეობდნენ  N1, N2 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლების საფორტეპიანო და საორკესტრო მიმართულების აღსაზრდელები.

2025 წლის 27 აპრილს, ხობის კულტურის სასახლის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა საგუნდო კოლექტივების ფესტივალი „ჰარიდა“, ვაჟთა ფოლკლორულმა

ანსამბლმა „კირიბიში“ მოიპოვა პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება. იმავე დღეს ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ფოლკლორული ანსამბლისთვის მასტერკლასები, რომელსაც უძღვებოდა მუსიკოსი, ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი მიხეილ ჯავახიშვილი.

2025 წლის 27 აპრილს, ქ. თბილისში, ჩატარდა კლასიკური მუსიკის მე-18 ეროვნული კონკურს-ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები“, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლები.

2025 წლის 11-17 ივნისს, საბერძნეთში, ასპროვალტა-ვრასნაში გაიმართა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „ოქროს ოცნება“, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლები. აღნიშნიულ ფესტივალში ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან მიწვეულები იყვნენ ანსამბლი „ლილე“, „ოდაბადე“ და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „კირიბიში“. ძალიან პროდუქტიული, წარმატებული და შემოქმედებითად დატვირთული გასტროლი აღმოჩნდა ჩვენი კოლექტივებისთვის. ანსამბლ „ლილეს“ მიენიჭა მეორე ხარისხის წოდება, ხოლო ანსამბლები „ოდაბადე“ და „კირიბიში“ გახდნენ პირველი ადგილის მფლობელები და მიწვეულ იქნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ლას-ვეგასში დაგეგმილ კონკურს-ფესტივალზე.

2025 წლის 25 სექტემბერს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, უკვე მეორედ, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ორგანიზებითა და მერიის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის ფესტივალი „მდუმარე ნოტები 2025“, რომელშიც ქუთაისის სახელწიფო სიმფონიური ორკესტრის თანხლებით(დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი) მონაწილეობდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლების საფორტეპიანო და საორკესტრო მიმართულების აღსაზრდელები. ფესტივალს კომპოზიტორთა სახლიდან ესწრებოდნენ მოწვეული კომპოზიტორები: კახა ცაბაძე და გიორგი შავერზაშვილი. კონცერტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე და მოსწავლეებს კიდევ ერთხელ მიეცათ მოტივაცია და გამოცდილება შემდგომი განვითარებისთვის. ფესტივალზე ასევე გამოიფინა სამხატვრო სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრები თემით „დედა, ქალი და გაზაფხული“.

კონკურს - ფესტივალებში მონაწილეობის შედეგად მოსწავლეებმა სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასა და მუნიციპალიტეტს მოუტანეს უამრავი წარმატება. სახელოვნებო სკოლების აღსაზრდელები გახდნენ საპატიო ადგილის მფლობელები, მიენიჭათ ლაურეატის წოდებები და მოიპოვეს უმაღლესი საშემსრულებლო ჯილდო - გრანპრი. სასწავლო წლის განმავლობაში სამუსიკო სკოლებმა განახორციელეს მრავალი სამუსიკო და საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეების უნარების გაღრმავებასა და მათი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას. სახელოვნებო სკოლების გაერთიანების საქმიანობა და ყველა აქტივობა ემსახურება ერთ მიზანს- ხელოვნებისადმი სიყვარულის გაღრმავებას.

- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის 2024 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის ნოემბრამდე **სულ ბიუჯეტი - 1 308 224.84 ლარი**, **შესრულება სულ -1 156 095.28 ლარი;** აქედან: **შრომის ანაზღაურბა გეგმა1 175 304.22 ლარი, შრომის ანაზღაურებ ფაქტიური -1 080 559 .29** ლარი, **საქონელი და მომსახურება გეგმა -132 870 .62 ლარი, საქონელი და მომსახურება ფაქტიური -- 75 535.99 ლარი.**

**2024 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის ოქტომბრის ჩათვლით მიღებულ იქნა - 949 ცალი წიგნი, თანხით - 6835.95 ლარი.**

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ამერიკულ კუთხესთან, საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან ერთად ორგანიზება გაუწია და განახორციელა სხვადასხვა პროექტები:

2024 წლის28-29 ნოემბერს ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის ინიციატივით უკვე მეორედ პროექტის - „ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკებისათვის" ფარგლებში ჩატარდა ორდღიანი **რეგიონალური კონფერენცია თემაზე - „ბიბლიოთეკები ციფრული განვითარებისთვის".**

2025 წელს ბიბლიოთეკამ გააგრძელა **პროექტი - „სკივრიდან გაცოცხლებული ზუგდიდური ამბები",** რომელიც ითვალისწინებს ზუგდიდელთა ოჯახებში დაცული ძველი ნივთების აღმოჩენასა და მათ მიერ მოთხრობილი ყოფითი ამბების გაშუქებას, ბიბლიოთეკის სოციალურ გვერდზე. პროექტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ოჯახის რელიქვიების ფოტოები გამოქვეყნდა. 2025 წლის 27 სექტემბერს პროექტის მასპინძელი იყო ზუგდიდის მკვიდრი , მედიცინის დოქტორი, სამედიცინო სფეროს თვალსაჩინო მენეჯერი დაზმირ ცანავა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრში სსიპ მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ ზუგდიდის N2 საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით გაიმართა ლიტერატურული საუბარი თემაზე: „საბჭოთა რეჟიმი ქართველ მწერალთა თვალით". მოსწავლეებმა განიხილეს მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნუგზარ შატაიძის, რეზო ჭეიშვილის, რევაზ ინანიშვილის, ნოდარ წულეისკირის, ზვიად გამსახურდიას ის თხზულებები, რომლებიც საბჭოეთის კრიტიკას ეხებოდა. მათ გააცოცხლეს საბჭოთა ისტორიის ეტაპები-25 თებერვალი;

ცნობილი ამერიკელი მწერლის ჰერმან მელვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა სოფელ რუხის საჯარო სკოლის დირექტორის, ინგლისური ენის წამყვანი მასწავლებლის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკული ლიტერატურის მიმართულების დოქტორანტის - **ედუარდ ციკოლიას საჯარო ლექცია თემაზე - ბიბლიური ალუზიები ჰერმან მელვილის რომანში „მობი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი"-1 აგვისტო;**

ცაიშის სასოფლო ბიბლიოთეკა - ფილიალში გაიმართა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოცემული გაზეთ „ივერიის" 1886 წლის ნომრების კომპლექტის წარდგენა.

გაზეთის კომპლექტი გამოიცა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტ „გიგანტური წიგნების“ ფარგლებში-**8 ოქტომბერი.**

საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „ბასიანის“ სოლისტისა და ლოტბარის სერგო ურუშაძის მასტერკლასი მეგრულ ფოლკლორზე. მასტერკლასში მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა. ბატონმა სერგომ წაიკითხა ლექცია თემაზე - მეგრული ფოლკლორი და ხალხური სიმღერების ისტორიასალოტბარო სკოლის აღსაზრდელებმა სერგო ურუშაძესთან ერთად შეასრულეს უძველესი მეგრული ხალხური სიმღერები -15 მარტი;

**ცენტრალურ ბიბლიოთეკას სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები ეწვივნენ.** მისიის მონიტორები გაეცნენ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის საქმიანობას, სტრუქტურასა და პროექტებს.-1 აგვისტო;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრისა და სოფლის განვითარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამსახურის ერთობლივი პროექტი - **შეხვედრა ფერმერთან.** პროექტის ფარგლებში ვიზიტი შედგა - არტიზანული ყველის მეწარმესთან, „ნათიას ფერმის“ დამფუძნებელთან - ნათია ღურწკაიასთან, რომელმაც სოფლის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით სოფელ კახათში ააშენა საქონლის ფერმა და ააწყო ოჯახური ბიზნესი. **-3 სექტემბერი;**

ზუგდიდის გაეროს განვითარების პროგრამის ოფიცრის, იაპონური ენის მოხალისე პედაგოგის დაიკი ჰაიაშის ინიციატივით კულტურული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა **ონლაინშეხვედრა წიგნის მოყვარული საზოგადოება B612-ის ახალგაზრდებსა და იაპონიის ქალაქ ინაგავას (Inagawa) სკოლის უფროსკლასელებს შორის-2024 წლის 23 ნოემბერი.**

ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან არსებული წიგნისმოყვარული ახალგაზრდების საზოგადოება B612-ის წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს საყვარელ ავტორთა წიგნები. ახალგაზრდებმა შექმნეს მინიატურული ლიტერატურული ნავები, წააწერეს ავტორთა ორიგინალური ამონარიდები და ამოგზაურეს წიგნის მოყვარულებთან შესახვედრად-2025 წლის 6 მაისი;

**ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ცენტრალური ბიბლიოთეკისა და წიგნის მოყვარული ახალგაზრდების საზოგადოება B612-ის ორგანიზებით ჩატარდა გრანდიოზული ახალგაზრდული საღამო.-2025 წლის 12 აგვისტო;**

ცენტრალურ ბიბლიოთეკას ესტუმრნენ ალექსანდრე ღურწკაიას საბუნებისმეტყველო გიმნაზიის III კლასის მოსწავლეები კლასის დამრიგებელ სოფო თაკალანძესთან ერთად. ახალგაზრდები გაეცნენ ბიბლიოთეკის მუშაობის სპეციფიკასა და სერვისებს, ამერიკული კუთხის პროექტებს, დაათვალიერეს ფონდები და განყოფილებები, შეარჩიეს მათთვის საინტერესო წიგნები და დარეგისტრირდნენ მკითხველებად. ბიბლიოთეკაში გიმნაზიელი ბავშვების ჩართულობით ჩატარდა ღია გაკვეთილი. მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები საქართველოს მეფეებზე, დასასრულს, მოსწავლეთა საინტერესო შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ბესიკ არახამიამ-2025 წლის 25 მარტი

ზუგდიდს სამუშაო ვიზიტით ეწვია ევროპა ნოსტრას ექსპერტთა მისია, რომელთა მიზანია ჭაქვინჯის ციხის დეტალური შესწავლა, მისი გადარჩენისთვის შესაბამისი საექსპერტო დასკვნისა და რეკომენდაციების შემუშავება. ვიზიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის

ხელმძღვანელთან. შედგა მსჯელობა ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობის პერსპექტივებსა და მნიშვნელობაზე, დაიგეგმა სამომავლო აქტივობები-11 თებერვალ;

**ზუგდიდის ამერიკული კუთხეში აქტიურად ტარდებოდა სხვადასხვა მიმართულების შეხვედრები, ფუნქციონირებდა კლუბები.**

## ➢ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსება

- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური**

2024-2025 წწ სამსახურმა პროგრამებში დანერგა გარკვეული სიახლეები და განახორციელა რამდენიმე პროგრამის ცვლილება:

- ჩატარებული გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების დაფინანსება/თანადაფინანსება არაუმეტეს 1 000.00 (ერთი ათასი) ლარისა.
- ტყუპების შეძენისას ოჯახების დახმარება გაიზარდა 1000 (ერთი ათასი) ლარამდე.

### სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება

საანგარიშო პეირიოდში, მუნიციპალური სოციალური პროგრამებით ისარგებლა **5 195** მოქალაქემ, რაზეც გაიხარჯა 2 250 000 (ორი მილიონ ორასორმოცდაათი ათასი) ლარი, რომელიც პროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა: დაკმაყოფილდა 725 ბენეფიციარი, გაიხარჯა 268 100 (ორასსამოდარვა ათას ასი) ლარი -** ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები 300 ბენეფიციარი (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ პირები და სხვა) უზრუნველყოფილ იქნა ცხელი სადილით ყოველდღიურად. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფელში მცხოვრებ განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე 425 ოჯახს (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ) გადაეცა საკვები პროდუქტების ნაკრები ერთჯერადად.
- **ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 19 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 37 100 (ოცდაჩვიდმეტი ათას ასი) ლარი, კერძოდ:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანთა კავშირისთვის ყოველთვიური სუბსიდია -2 665 (ორი ათას ექვსასსამოცდახუთი) ლარი, ომის

მონაწილის გარდაცვალებისას სარიტუალო ხარჯებისთვის ოჯახის დახმარება 300 (სამასი) ლარი. 2008 წლის აგვისტოს თვეში ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად დაღუპული პირების ოჯახების დახმარება 1000 (ერთი ათასი) ლარი და 9 მაისთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებული პირების დახმარება 200 (ორასი) ლარით.

- **ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 196 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 57 700 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდასი) ლარი,** კერძოდ : მრავალშვილიანი ოჯახებისათვის - 18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე – 200 ლარი; 5 ბავშვზე – 300 ლარი და ა.შ; პირველი–მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება (სარეიტინგო ქულა 65001–ზე ნაკლები) – 200 ლარი; ტყუპის შეძენისას – 500 ლარი; დედ–მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100-800 ლარამდე.
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 1 036 მოქალაქემ, რისთვისაც გაიხარჯა 226 300 (ორას ცდაექვსი ათას სამასი) ლარი, კერძოდ:** 18 წლამდე ასაკის შშმ და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარი, სმენა და მხედველობადაქვეითებული, ასევე მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირებს კომუნალური გადასახედების თანადაფინანსებისთვის ფულადი დახმარება 25-25 ლარი 4 თვის მანძილზე. მოვლის საჭიროების მქონე პირთა (შშმ პირები (მწოლიარე ან ეტლით მოსარგებლე), სოციალურად დაუცველი ოჯახები (სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლები)) დაფინანსება ყოველთვიურად 100 (ასი) ლარით. „თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი“-ს ფარგლებში სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილობის უზრუნველყოფა.
- **მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 362 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 88 000 (ოთხმოცდარვა ათასი) ლარი.** მარჩენალდაკარგულ ოჯახებს, გაეწიათ ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 200 (ორასი)ლარის ოდენობით. მარტოხელა მშობლის ყოველთვიური დახმარება - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
- **ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა: ისარგებლა 46 მოქალაქემ, რისთვისაც გაიხარჯა 18 800 (თვრამეტი ათას რვაასი) ლარი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ადგილობრივ გარდაცვლილ ბენეფიციართა ოჯახისთვის - ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარი. მარტოხელა და მარტომცხოვრებ ხანდაზმულებს მიეწოდათ შინმოვლის სერვისი.

- **სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა ბიუჯეტი: გახარჯულია 90 800 (ოთხმოცდაათი ათას რვაასი) ლარი -** დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახების, 100 წელს გადაცილებული პირების, მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების, განსაკუთრებით შეჭირვებული ოჯახების მხარდაჭერა (შობა – ახალი წელი

და აღდგომა) საკვები პროდუქტებით, რომელიც მიიღო **550 ოჯახმა.** შშმ პირთა და ხანდაზმულთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა.

- **ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა: ისარგებლა 219 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 132 500 (ასოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარი. კერძოდ:** ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯების თანადაფინანსება: თითოეულს თვეში 100 - 150 (ასი-ასორმოცდაათი) ლარი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პერიტონიალური დიალიზის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის, რომლებიც სერვისის მისაღებად გადაადგილებიან სხვა მუნიციპალიტეტის სამედიცინო ცენტრებში - ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება თვეში თითოეულს - 200 (ორასი) ლარი; სოციალურად დაუცველი სტუდენტების (სარეიტინგო ქულით 65001-ზე ნაკლები), მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება წელიწადში ერთხელ 200 (ორასი) ლარი; სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ჩართული შშმ ბავშვების თანმხლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება.
- **სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა: ისარგებლა 351 მოქალაქემ, რისთვისაც გაიხარჯა 445 700 (ოთხასორმოცდახუთი ათას შვიდასი) ლარი,** კერძოდ: ხანძრის შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება - 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე. დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება - 3000 (სამი ათასი) ლარამდე. მეწყრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე - 500 (ხუთასი) ლარი. უსახლკაროდ დარჩენილი, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულა 65001-მდე), ბინის ქირით უზრუნველყოფა - თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარი ყოველთვიურად.

- **დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა: ისარგებლა 455 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 45 500 (ორმოცდახუთი ათას ხუთასი) ლარი,** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე დევნილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება 100 (ასი) ლარი წელიწადში ერთხელ.

- **სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამით ისარგებლა 1 343 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 355 900 (სამასორმოცდათხუთმეტი ათას ცხრაასი) ლარი,** კერძოდ: სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის (სარეიტინგო ქულა 35 001-ზე ნაკლები) კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება 25-25 ლარით ოთხი თვის განმავლობაში; ბუნებრივი აირის შეყვანა ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000; განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების მქონე ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა წელიწადში ერთხელ 100-500 (ასი-ხუთასი) ლარის ფარგლებში.

- **სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების**

**თანადაფინანსების პროგრამა:** პროგრამა მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას პროექტებში, ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი პროექტების შერჩევა ხდება მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ დებულების შესაბამისად (თითო პროექტზე არაუმეტეს 5000 ლარისა) საანგარიშო პერიოდში **2** პროექტის თანადაფინანსებისთვის გაიხარჯა 9 400 (ცხრა ათას ოთხასი) ლარი.

- **პროგრამა ,,სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში" – 44 ბენეფიციარი - გაიხარჯა 26 100 (ოცდაექვსი ათას ასი) ლარი.** საცხოვრისში ჩასახლებული 14 ოჯახისთვის კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში. ასევე საცხოვრისის ბაზაზე ხანდაზმულთა (**15 ბენფიციარი)** დღის ცენტრის ფუნქციონირების ფინანსური მხარდაჭერა.

- **უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა: გაიხარჯა 800 000 (რვაასი ათასი) ლარი -** დასრულდა 7 საცხოვრებელი სახლის მშენებლბა და 10 ,,ერთი თბილი ოთახის" მოწყობა. გამოცხადებულია ტენდერი 3 სახოვრებელი სახლის მშენებლობაზე.

## ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება

საანგარიშო პერიოდში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა **5 183** მოქალაქემ, რომელთაც საერთო ჯამში დაუფინანსდათ **2 005 991.76** (ორი მილიონ ხუთი ათას ცხრაას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და სამოცდათექვსმეტი თეთრი) ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება.

დაფინანსებული მომსახურებები ქვეპროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად :

- **ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) თანადაფინანსება გაეწია 1 748** მოქალაქეს. გაიხარჯა - **523 419.80** (ხუთას ოცდასამი ათას ოთხას ცხრამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

- **პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიაზე (PET/კტ),** თანადაფინანსება გაეწია **55** მოქალაქეს. გაიხარჯა **53 060.00** (ორმოცდაცამეტი ათას სამოცი) ლარი.

- **სტაციონარული სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსება/ დაფინანსება გაეწია 314** მოქალაქეს. გაიხარჯა - **206 223.48** (ორას ექვსი ათას ორას ოცდასამი ლარი და ორმოცდარვა თეთრი) ლარი.

- **აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში** ჩართულია **150** ბავშვი. გაიხარჯა - **623 700.00** (ექვსას ოცდასამი ათას შვიდასი) ლარი.

- **სხვადასხვა სახის ინტელექტუალური შეზღუდვისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე 419** ბავშვს გაეწია სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსება. გაიხარჯა - **164 370.00** (ას სამოცდაოთხი ათას სამას სამოცდაათი) ლარი.

- **იშვიათი დაავადებების (ცელიაკია /ფენილკეტონურია/მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრონველყოფის ქვეპროგრამით** ისარგებლა **4-მა** მოქალაქემ. ჯამში ქვეპროგრამაზე გაიხარჯა -**15 400.00** (თხუთმეტი ათას ოთხასი) ლარი.

- **ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსება** გაეწია **- 1 046** მოქალაქეს. გაიხარჯა - **209 775.48** (ორას ცხრა ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი ლარი და ორმოცდარვა თეთრი) ლარი.

- **პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის, დამხმარე საშუალებებისა და სხვა ნივთების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა** ( ყოველთვიურად არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი) - ისარგებლა **23-მა** მოქალაქემ. გაიხარჯა - **32 000.00** (ოცდათორმეტი ათასი) ლარი.

- **განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებებით,** (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსებით ისარგებლა **26-მა** მოქალაქემ. გაიხარჯა - **5 200.00** (ხუთი ათას ორასი) ლარი.

- **18 წელს ზემოთ შშმ პირების სარეაბილიტაციო მკურნალობაზე,** ისარგებლა 1**6**-მა მოქალაქემ. გაიხარჯა - **7 820.00** (შვიდი ათას რვაას ოცი) ლარი.

- **კოხლეარული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (III-IV) სმენადაქვეითებული ნაოპერაციევი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვების სასმენი აპარატის/პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება -** თითოეულ ბავშვზე მაქსიმალური ლიმიტი 15 000.00 (თხუთმეტი ათასი ) ლარი წელიწადში ერთხელ. ისარგებლა **1-მა** ბავშვმა, რაზეც გაიხარჯა -**15 000.00** (თხუთმეტი ათასი) ლარი.

- **0-18 წლამდე კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისთვის, იმპლანტის დამხმარე საშუალების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა** - (მაქსიმალური ლიმიტი 600 (ექვსასი) ლარი) - ისარგებლა **6-მა** მოაქალაქემ. გაიხარჯა - **3 598.00** (სამი ათას ხუთას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი.

- **ძვირადღირებული თერაპიის საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა** - ისარგებლა **425-მა** მოქალაქემ (თითოეულს ერთჯერადად 200.00 (ორასი) ლარი). გაიხარჯა – **85 000.00** (ოთხმოცდახუთი ათასი) ლარი.

- **ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაში ჩაერთო 950** მოქალაქე. გაიხარჯა - **61 425.00** (სამოცდაერთი ათას ოთხას ოცდახუთი) ლარი.

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით, შუამდგომლობა გაეწია - **428** მოქალაქეს.

## სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის თემატური მუნიციპალური პროგრამებით ისარგებლა 207-მა არასრულწლოვანმა. დაფინანსება გადანაწილდა შემდეგნაირად:

**სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა:**

- **ისარგებლა 87-მა ბენეფიციარმა (38 ოჯახი)- გახარჯულია 40 450 (ორმოცი ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარი.** 2022 წლის სექტემბრიდან თითოეულ ბავშვზე გათვალისწინებული თანხის ოდენობა 30(ოცდაათი) -დან 50 (ორმოცდაათი) ლარამდე გაიზარდა.

**ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამა**:

- ქვეპროგრამის ფარგლებში აღინიშნა დაუნის სინდრომის (21 მარტი), აუტიზმის ცნობადობის ამაღლების (2 აპრილი), ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე (1 ივნისი), რისთვისაც გახარჯულია სულ - 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარი.

**სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა:**

- **აქვა-თერაპიის** მომსახურებით ისარგებლა 9 ბავშვმა, რაზეც გახარჯულია 6 280 (ექვსი ათას ორას ოთხმოცი) ლარი.
- **ინგლისური ენის** შემსწავლელი წრეების დაფინანსებისთვის 30 ბავშვის მომსახურებაზე გაიხარჯა 10 550 (ათი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარი.

განყოფილება აქტიურად მუშაობს მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების კუთხით. საანგარიშო პერიოდში სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 74 ვიზიტი, რომლის შედეგადაც სხვადასხვა საჭიროების მქონე 21 ბავშვიანი ოჯახი (48 ბავშვი) ჩართულ იქნა შესაბამის მუნიციპალურ პროგრამებში, ამასთან, 33 ოჯახი, გადამისამართებულ იქნა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად.

გარდა ამისა, განყოფილებამ აქტიურად იმუშავა ოჯახების გაძლიერებისა და მშობლების ინფორმირებულობის გაზრდის კუთხით.

2024 წლიდან განყოფილება ახორციელებს 6 სესიისგან შემდგარ საგანმანათლებლო ტრენინგ-მოდულს მშობლებისთვის თემაზე: ,,პოზიტიური მშობლობა“. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგების 2 ციკლი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამებით მოსარგებლე 15-მა მშობელმა (დედები).

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები. ტრენინგი მიზნად ისახავს ინფორმირებულობის დონის ამაღლებას მშობლობისა და ბავშვის საჭიროებების ძირითად საკითხებთან დაკავშირებით. ტრენინგების ახალი ციკლი დაგეგმილია მ/წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

- **ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა“ 2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით, პროგრამულ კოდზე 060101- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება, შეასრულა: **ა) მუნიციპალური ბიუჯეტის ფარგლებში 535221.46 ლარის** (ხუთას ოცდათხუთმეტი ათას ორასოცდაერთი ლარი და ორმოცდაექვსი თეთრი) ღირებულების სამუშაოები; **ბ) საკუთარი სახსრების ბიუჯეტის ფარგლებში** - 45080 ლარის (ორმოცდახუთი ათას ოთხმოცი) ღირებულების სამუშაოები

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა შედგენილი გეგმებისა და წარმოქმნილი საჭიროებების შესაბამისად შეასრულა შემდეგი სამუშაოები პროგრამების და მიმართულებების მიხედვით:

*ცენტრში სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეი) დარეგისტრირებული იქნა ინფექციური დაავადებების 13659* შემთხვევა. ტუბერკულოზზე საეჭვო 1050 შემთხვევა, რომელთა შორის აქტიური ტუბერკულოზი მგბ(+) დაუდასტურდა 13-ს, მგბ(–)19 მათ შორის რეზისტენტული ტუბერკულოზის (RR/MDR) დაუდგინდა 6 პაციენტს, ინფექციის კერებში 123 კონტაქტირებულ პირს ჩაუტარდა სკრინინგული კვლევა, დამყარდა მეთვალყურეობა აქტიური ტუბერკულოზის გამოვლენის მიზნით. ტუბერკულოზით დაავადებული „შეწყვეტილი მკურნალობის ან ცუდი დამყოლობის“ მქონე ბენეფიციალი არ დაფიქსირებულა.

მართვადი ინფექციებიდან რეგისტრირებულია ყივანახველას 45 შემთხვევა, ყველა შემთხვევიდან აღებული იქნა სისხლი ლაბორატორიული დიაგნოსტირებისათვის ყივანახველა დაუდასტურდა 40 პირს, 2 იქნა უკუგდებულ იქნა, 3 დარჩა სავარაუდო შემთხვევად. გამოვლენილი იქნა წითელას 54 შემთხვევა, ლაბორატორიულად დადასტურდა 47, უკუგდებული იქნა 5, სავარაუდო დარჩა 2 შემთხვევა. ყველა მართვადი ინფექციის ეპიდკერაში ჩატარდა ეპიდკვლევა იმუნიზაციის სტატუსის, კომტაქტირებული პირების დადგენის, მიზნით, შეივსო ეპიდკვლევის ბარათი, გადაეცა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს და შეტანილ იქნა დაავადების ელექტრონულ ინტეგრირებულ სისიტემაში.

ზუგდიდის 27 სამედიცინო დაწესებულებასა და სოფლის 29 ამბულატორიაში ჩატარდა 39 გეგმიური მონიტორინგი ეპიდზედამხედველობაზე, შეივსო შესაბამისი ფორმები. დაწესებულების ნაწილს მიეცა შენიშვნები ინფექციური დაავადებების აღრიცხვინობის

არასწორი წარმოების გამო, მიეცათ შესაბამისი ვადები ხარვეზების აღმოსაფხვრელად, გადამოწმების შემდეგ ხარვეზები აღმოფხვრილი იქნა.

ანტირაბიული ღონისძიებების განხორციელებაში ზუგდიდიში მონაწილეობს 5 სამედიცინო დაწესებულება. სს საქართველოს კლინიკების ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი, სს. სამედიცინო კორპორაცია ევექსის ზუგდიდის პოლიკლინიკა," შპს კლინიკა ნლი, შპს რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო და შპს იუნიქი, რომელმაც ივლისის თვიდან შეწყვიტა საქმიანობა. აღნიშნული დაწესებულებებიდან საანგარიშგებო პერიოდში შემოსულია ცხოველის მიერ დაკბენილ–დადორბლილის შემთხვევის 2 900 შეტყობინება, აქედან აფხაზეთში მცხოვრები 34 პირი, სხვა რაიონის მცხოვრები 432, რომლებზეც შეტყობინება გადაეცა შესაბამისი რაიონების საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცეტრებს. ანტირაბიული მკურნალობა დაენიშნა 2957 პირს, ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა 839 პირს, პირობითი 1913 პირს.

2024 წ 1 ნოემბრიდან 2025 წ 16 ოქტომბრამდე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-60/ნ ,,პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესების და საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმების შესრულების შესახებ" ბრძანების შესაბამისად, ჩატარდა 84 მონიტორინგი წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 29 საექიმო ამბულატორიაში და 5 სამედიცინო დაწესებულების შპს ზუგდიდის ბავშვთა პოლიკლინიკის 9 უბანში, შპს სამედიცინო ცენტრი დიომედის ზუგდიდის ფილიალის 2 უბანში, შპს ნლი, შპს იუნიქი და სს სამედიცინო კორპორაცია ევექსის ზუგდიდის პოლიკლინიკა.

2025-2026 წლების გრიპის სეზონისთვის საქართველოს მასშტაბით,გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, საქართველს მოქალაქეობის მქონე ნებისმიერი პირისთვის 6 თვის ასაკიდან დაიწყო 2025 წლის 10 ოქტომბრიდან.

2025-2026 წლის სეზონისთვის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შეძენილია ოთხკომპონენტიანი ,SANOFI PASTEUR-ის წარმოების 200 000 დოზა სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა(VaxigripTetra).

2025წ ოქტომბრის თვეში დკსჯე ცენტრიდან მოწოდებული იქნა 3250 დოზა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელიც ეტაპობრივად, მარაგების და მოთხოვნის შესაბამისად გადაეცა იმუნიზაციის პროგრამაში ჩართულ დაწესებულებებს. ვაქცინაცია დაიწყო 10 ოქტომბერს და გაგრძელდება ქვეყანაში ვაქცინის მარაგის ამოწურვამდე.

2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წ 16 ოქტომბრის ჩათვლით ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 10025 აცრა.მ.შ გეგმიური 9346: ბცჟ ვაქცინაცია ჩაუტარდა 620 ახალშობილს; ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო 627 -ს, იმუნიზაცია ჰექსაქციმით (6 ვალენტიანი ვაქცინა) ჩატარდა 1487 აცრა, ტეტრაქსიმით (18 თვ;5 წლის ასაკში)1452, წითელა-წითურა-ყბაყურის საწ. 1, 2 დოზით აიცრა 1352 ბავშვი, როტა 1, 2 დოზით- 810, პნევმოკოკით 1439, აპვ ვაქცინით-627, ტდ ვაქცინით-618 აცრა და არაგეგმიური 679 აცრა(აპვ გოგონები 13-45 წ-170 აცრა, აპვ ბიჭები 13-26 წ- 154 აცრა,პნევმოკოკი 60 წლ >31 აცრა), ბ -ჰეპატიტი 317(სამედიცინო

პერსონალი და C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირები, წწყ 10 წლის > 7).

სტრატეგიული ღონისძიებები: ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სპეციფიკური შრატებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) მიღება, შენახვა და გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით; სპეციფიკური შრატების/იმუნოგლობულინებისა და ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შექმნა.

ცენტრიდან მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე მიმდინარეობდა ზუგდიდის 5 სამედიცინო დაწესებულებიდან ყოველკვირეული ინფორმაციის მიღება ჰოსპიტალიზირებულთა რაოდენობისა და მათშორის მძიმე მწვავე რესპირატორული ინფექციების შემთხვევების შესახებ, ასაკობრივ ჭრილში. ცენტრში ხორციელდება მიღებული ინფორმაციის დამუშავება, აგრეგირება და გადაგზავნა. 2024 წლის ნოემბრიდან- 2025 წლის ნოემბრის თვემდე ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა რაოდენობამ შეადგინა 10 131, მათ შორის რესპირატორული ინფექციის გართულებით 1 701.

,,დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის'' სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროგრამაში ჩართულ 3 სამედიცინო დაწესებულებებში ხორციელდება ორსულთა ტესტირება ,,ბ'' და ,,ც“ ჰეპატიტზე, აივ-ინფექციასა და სიფილისზე, ამისათვის დაწესებულებებს ყოველთვიურად გადაეცემა ტესტ-სისტემები ორსულთა კვლევებისათვის.

2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 17 ოქტომბრქმდე ქალაქის 48, რაიონის 77 და 19 კერძო ბავშვთა დაწესებულებაში ჩატარდა 144 მონიტორინგი სკოლამდელ დაწესებულებაში, ასევე ჩატარდა მონიტორინგი 4 საჯარო სკოლაში, რომელიც ტარდებოდა ცენტრის მიერ შემუშავებული გეგმა- გრაფიკით. გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებოდა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრს. ასევე ხდებოდა რეკომენდაციების გაცემა და მათი გადამოწმება.

პარაზიტულ დაავადებებზე ლაბორატორიულად კვლევა ჩაუტარდა ქალაქისა და სოფლის ბაღების 1524 აღსაზრდელს, მათ შორის ინვაზირებული აღმოჩნდა 79 აღსაზრდელი რაც შეადგენს გამოკვლეულთა 5%-ს. კვლევის შედეგების გადაცემა წარმოებს როგორც ბაღის ადმინისტრაციისთვის, ასევე სოფლის ამბულატორიის პერსონალისთვის მკურნალობის და პროფილაქტიკის მიზნით.

ჩვენი ქვეყნის შავიზრვისპირა ზოლში ტიპიური ბინადარის - კოღო ანოფელესის გარდა, რომელსაც მალარია გადააქვს ბინადრობს და მრავლდება Aedes aegypti -ის და Aedes albopictus-ის სახეობის კოღოებიც, რომლებიც თავის მხრივ შესაძლოა გახდნენ დენგეს, ჩიკუნგუნიას, ყვითელი ცხელებისა და ზიკას გადამტანები. გლობალური დათბობის, მოსახლეობის მიგრაციის, აქტიური ტურიზმის და ტვირთბრუნვების მატების კვალდაკვალ, საქართველოს შავიზღვისპირა ზონა მოიცავს დამატებით რისკებს ტრანსმისული დაავადების შემოტანისა და შემდგომი გავრცელების თვალსაზრისით.

2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით შერჩევითი შემოწმება-მონიტორინგი ჩაუტარდა 221 ინდ. მეწარმე ბიზნეს ოპერატორს. მათ შორის, 130 სტილისტს, 67 მანიკურ-პედიკურის, 3 ვიზაჟის, 6 პერმანენტული მაკიაჟის , 7 ლაზერული ეპილაციისა და 1 ტატუ/მიკროპიგმენტაციის სპეციალისტებს და 7 კოსმეტოლოგს.

2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით სულ C- ჰეპატიტზე სკრინინგი ჩაუტარდა 1980 ბენეფიციარს, გამოვლინდა C ჰეპატიტის 6 ახალი შემთხვევა. აივ-შიდსზე კვლევა ჩაუტარდა 1980 ბენეფიციარს, მათ შორის გამოვლინდა 1 პირველად დიაგნოსტირებული შემთხვევა. ტუბერკულოზზე სკრინინგი ჩაუტარდა 1980 პირს, გამოვლინდა ტუბერკულოზზე საეჭვო 1 პირი. სკრინინგით გამოვლენილი დადებითი შემთხვევები რეფერირებულნი იქნა შესაბამის კლინიკებში.

2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 16 ოქტომბრის პერიოდში ცენტრის მიერ განხორციელდა 432 მოწევის აკრძალვის მონიტორინგი შემდეგი ტიპის დაწესებულებებში: სასწავლო 24; სამედიცინო 31; სახელმწიფო 26; სტადიონი 14; კაფე/ბარი/რესტორანი 44; კინო/თეატრი 8; სილამაზის სალონი 35; მედია ორგანიზაცია 2; სასტუმრო 17; ტოტალიზატორი 2; სავაჭრო ობიეტი 152; ტრანსპორტი 74;

2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის16 ოქტომბრამდე საზედამხედველო ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 42 სტომატოლოგიურ კაბინეტში განხორციელდა 52 მონიტორინგი.

## ❖ ზედამხედველობის სამსახური

### საორგანიზაციო განყოფილება

საანგარიშო პერიოდისათვის მერიასთან გაფორმებულ მიმდინარე და დასრულებულ ხელშეკრულებებზე შედგა ინფორმაციული ელექტრონული ბაზა, სადაც ჯამში რეგისტრირებული ხელშეკრულებების რაოდენობაა **266 (ორას სამოცდაექვსი).** აქედან:

**დასრულებული** ხელშეკრულებების რაოდენობა - **171 (ასსამოცდათერთმეტი),** მათ შორის: სოფლის მხარდაჭერის პროგრამით - 61; რეგიონალური - 14; ადგილობრივი - 46; სტიქიის მუხლით - 33; სამოქალაქო - 17; **მიმდინარე** ხელშეკრულებების რაოდენობა - **92 (ოთხმოცდათორმეტი). შეწყვეტილი** ხელშეკრულებების რაოდენობა - **3 (სამი).**

- განხილულ იქნა და მომზადდა აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაცია და გადაეგზავნა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს; მათ შორის საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხების წინასწარი ანაზღაურების მიზნით საჭირო დოკუმენტაცია;

- აყვანილ იქნა კონტროლზე აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი ვადები. ვადაგადაცილებით შესრულებულ სამუშაოებზე შედგა სათანადო დოკუმენტაცია და მასალა გადაეგზავნა იურიდიულ განყოფილებას სათანადო რეაგირებისათვის (მათ შორის შესაწყვეტ ხელშეკრულებებზე; აგრეთვე, საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის), რის შემდეგაც განხორციელდა საჭირო პროცედურები. ჯამში საჯარიმო თანხამ მოცემულ პერიოდში შეადგინა **288358,61** (ორასოთხმოცდარვა ათას სამას ორმოცდათვრამეტი და 61 თეთრი) ლარი;

- აყვანილ იქნა კონტროლზე ყველა ხელშეკრულების მოქმედების ვადები. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში, ვადის გაგრძელებაზე ეცნობა საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს;

- განხილულ იქნა და მომზადდა სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, ფაქტიური გარემოებებიდან გამომდინარე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში და ხელშეკრულებებში საჭირო ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციები;

- აღნიშნული პერიოდისათვის საორგანიზაციო განყოფილებაში ყველა შემოსულ კორესპონდენციას გაეცა დროული და სათანადო პასუხი;

- მიეწოდა ინფორმაცია მერიის სხვადასხვა სამსახურებს (მათი საჭიროების მიხედვით) ობიექტებზე სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ; ასევე - დაფინანსების წყაროების მიხედვით დარჩენილი ნაშთის (სახელშეკრულებო ღირებულებასა და ფაქტიურ ღირებულებას შორის სხვაობა) შესახებ.

## სამშენებლო ინსპექტირების განყოფილება

სამშენებლო ინსპექტირების განყოფილების მიერ ინსპექტირებული ობიექტების რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში შეადგენს **266 (ორას სამოცდაექვსი).** აქედან, დასრულებულია **171 (ასსამოცდათერთმეტი),** მიმდინარე - **92 (ოთხმოცდათორმეტი),** შეწყვეტილი - **3 (სამი).** შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე შედგა ინსპექტირების ჯგუფის აქტები (შუალედური/საბოლოო).

სამუშაოებზე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების კონტროლის შედეგად დაფიქსირებული ვადების დარღვევისათვის და აგრეთვე, საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის შედგა სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც გადაეგზავნა მერიის შესაბამის სამსახურებს და შემდეგად ჯამში საჯარიმო თანხამ შეადგინა **288358,61** (ორასოთხმოცდარვა ათას სამას ორმოცდათვრამეტი და 61 თეთრი) ლარი;

განხილულ იქნა ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული საკითხები, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, აუცილებლობიდან გამომდინარე;

საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ექსპლუატაციის პერიოდში (საგარანტიო პერიოდი), ობიექტების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად გატარდა სათანადო ღონისძიებები;

მიეწოდა ინფორმაცია მერიის სამსახურებს, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, ობიექტებზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ (მათ შორის შუალედურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის პროცენტული მაჩვენებელი);

მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში ყველა მშენებლობადამთავრებული ობიექტი, რომელთა რაოდენობა აღნიშნული პერიოდისათვის შეადგენს 50-ზე მეტს; განყოფილებაში შემოსულ ყველა კორესპონდენციას გაეცა დროული და სათანადო პასუხი.

## რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება

2025 წლის 01 იანვრიდან 2025 წლის 30 ივნისის ჩათვლით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილებამ სულ გამოავლინა 4 (ოთხი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. კერძოდ: 4 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $55^2$ ერთი ოქმი, 150 მუხლის მე-3 ერთი ოქმი და 150 მუხლის მეოთხე ნაწილით 3 ოქმი.

ასევე განყოფილების მერ გამოვლენილია უნებართვო მშენებლობების 20 შემთხვევა, უნებართვო დემონტაჟის 2 შემთხვევა და სანებართვო პირობების დარღვევის 31 შემთხვევა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა, და ინ/მ გიორგი ჭურღულიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გაყვანილ იქნა ვეტერინალურ კლინიკაში 117 (ას ჩვიდმეტი) მიუსაფარი და უპატრონო ძაღლი მათი

შემდგომი კასტრაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია, დაბირკვის და შემდეგ თავისუფალ არეალში დაბრუნების მიზნით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონადირეებთან ხელშეკრულების საფუძველზე გარემოდან ჩასაფრების წესით ამოღებულია მგლის 4 და ტურის 19 ინდივიდი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ზუგდიდდეზინფექციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ორ ეტაპად განხორციელდა ქ ზუგდიდისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დერატიზაციასთან და ქვეწარმავლების საწინააღმდეგო ღონისძიებებთან დაკავშირებული სამუშაოები.

ავარიულ და გამხმარ მდგომარეობაში მყოფი ხეებისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების კომისიამ განიხილა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებები, რომლებსაც გაეცა სათანადო პასუხი.

2024 წლის 01 ნოემბრიდან 2025 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილებაში შემოსულ კორესპონდენციებს გაეცა სათანადო პასუხი.

განყოფილება ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდა და ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქალაქო მეურნეობის კეთილმოწყობის, გარე იერსახის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, გარე ვაჭრობის და ავტოტრანსპორტის პარკირების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების, დადგენილებების, ბრძანებების, განკარგულებების, ინსტრუქციებისა და წესების შესრულებაზე.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე და აღნიშნულ საქმიანობაზე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე.
- პროექტის, სანებართვო პირობების დარღვევით მშენებარე ობიექტების მშენებლობის შეჩერებასთან/და დემონტაჟის განხორციელებაზე, ასევე მათ მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენებაზე.
- რეკლამის, აბრის განთავსების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე, მათ დადგენილ წესებთან შესაბამისობაში მოყვანაზე. აგრეთვე, რეკლამაზე, აბრაზე სახელმწიფო ენის დაცვის მოთხოვნებისა და ტრანსლიტერაციის შესაბამისობაზე.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე.
- ხეების და მწვანე ნარგავების გეგმაზომიერ განვითარებაზე, მათ მოჭრაზე, ამოძირკვაზე და დაზიანებაზე.
- მშენებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო, ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციებთან შესაბამისობაზე.
- უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ კომისიაზე დოკუმენტების მომზადებაზე.

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადა გადაცილებით შესრულების შემთხვევაში(წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე) სათანადო დოკუმენტაციის მომზადებასა და საჭირო პროცედურების განხორციელებაზე.
- კანონმდებლობით დადგენილი წესით წესრიგის დაცვას მშენებლობის დაწყებასა და მის დასრულებაზე.

## ❖ ადმინისტრაციული სამსახური

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავაც გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა რჩება. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტი არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს.

2024-2025 წლებში მერიის ადმინისტრაციული სამსახურის **საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილების** მიერ სხვადასხვა აქტივობები განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებულობას, როგორც მიმდინარე და განხორიცელებულ პროექტებზე, ასევე, იმ მუნიციპალურ სერვისებზე, რომლითაც შეუძლიათ მოქალაქეებს ისარგებლონ. მერიის აქტივობები ქვეყნდება, სააგენტოებზე და შუქდება ტელევიზიით. განყოფილების საქმიანობა შესაბამისია მუნიციპალიტეტის სტრატეგიული მიზნებისა. ნათლად და მკაფიოდ არის განსაზღვრული განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა პრიორიტეტების მიხედვით.

ამ დროისთვის გვყავს 30 000 გამომწერი. მომზადდა 80-ზე მეტი ვიდეო და რილსი. ეს მონაცემები ყოველწლიურად მზარდია.

ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე დაახლოებით 270-ზე მეტი ახალი ინფორმაცია განთავსდა, რომელიც მოიცავდა მუნიციპალურ სერვისებს, მიმდინარე პროექტებს და კულტურულ ღონისძიებებს.

მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია /City Hall of Zugdidi Municipality თავისი აქტივობებით, როგორც სიახლეების განთავსების თვალსაზრისით ასევე, მოქალაქეთა ჩართულობით და მათ კითხვებზე ოპერატილი რეაგირებით მოწინავე პოზიციაზეა google analytics მონაცემებით. აქვე, გვერდი პასუხობს მომხმარებლის დაინტერესებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილება ორგანიზებას უწევდა ელჩებთან შეხვედრებს, საზღვარგარეთიდან დელეგაციების ვიზიტების პროგრამების შედგენას, ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებული ოფიციალური მიღებების გამართვას.

განყოფილებამ ასევე უზრუნველყო „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტების გამოსავლენად დასახლების საერთო კრებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების საჯაროობა.

2025 წელს გამოიცა გაზეთის „ახალი ზუგდიდი" ორი ნომერი 5000-5000 ეგზემპლიარით.

**საქმისწარმოების განყოფილება** ახდენს შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას უზრუნველყოფს გასაგზავნი კორესპონდენციის ადრესატებისთვის მათთვის სასურველი ფორმით მიწოდებას (ელ.ფოსტა, ფოსტა, სატელეფონო ზარით დაუწყება),

მოქალქეთა კონსულტაციას მათ მიერ წარმოსადგენ განცხადებებთან მიმართებაში, ასევე მერიაში მატერიალური ფორმით რეგისტრაციას დაქვემდებარებული სხ.სხ. ტიპის ხელშეკრულებების რეგისტრაციას.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მოეწყო დამატებითი სივრცე სადაც პრიორიტეტულად რეგისტრირდება ინფრაქტურტურასა და არქიტექტურის თემატიკას მიკუთვნებული კორესპონდენცია, რამაც ხელი შეუწყო მოქალაქეთა ოპერატიულად მომსახურების საკითხის გაუმჯობესებას.

საქმისწარმოების თანამშრომლები ჩართული არიან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა კომისიის საქმიანობაში, მათ შორის) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირის ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიის მდივანი გახლავთ საქმისწარმოების თანამშრომელი, სტიქიის შედეგად დამდგარი ზარალის შემსწავლელ კომისიის მდივანიც, ასევე არქივზე პასუხისმგებელი პირიც საქმისწარმოების განყოფილების თანამშრომელია, რომლის ძალისხმევითა და მერიის სხვა შესაბამისი სამსახურების ხელშეწყობით მოწესრიგებულია კორესპონდენციის შემდგომი არქივაციის მიზნით დოკუმენტაციის დამუშავების პროცესი, ასევე მოეწყო შესაბამისი სივრცე სადაც სამეგრელოს ადგილობრი არქივში გადაცემამდე, სისტემატიზირებული ფორმით ინახება მერიაში დამუშავებული დოკუმენტაცია.

**სტატისტიკური ინფორმაცია:** შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა: 16 542: გასული კორესპონდენციის რაოდენობა: 7948; ადმინისტრაციული ხელშეკრულებები: 180, ცვლილება 87; შრომითი ხელშეკრულებები: 1, ცვლილება 30; ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები: 41, ცვლილება: 6; მემორანდუმი: 2.

**ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის კოორდინაციის განყოფილებამ** უზრუნველყო სხვადასხვა სახის ინფორმაციის მომზადება და გადაგზავნა უწყებებსა და ორგანიზაციებში. მათ მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა პასუხი 38 წერილზე, რომელიც ეხებოდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში გაცემას.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ განხორციელდა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით ჩასატარებელი დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების, პროცედურული საკითხების ორგანიზება.

განყოფილება სისტემატურად აკონტროლებს დამეწყრილი ოჯახების მდგომარეობას და პერიოდულად ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოდან გეოლოგთა ჯგუფის გამოძახებას დაზიანებული სახლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით. საანგარიშო წელს, შემოწმდა 63 ოჯახი, აქედან 63-ვეს მიენიჭა შესაბამისი კატეგორია, მათ შორის 14 ოჯახს პირველი კატეგორია, ამ ეტაპზე ველოდებით გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს, რათა შემოწმდეს 7 დაზარალებული ოჯახი.

განყოფილების თანამშრომლები კოორდინაციას უწევენ ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობას.

განყოფილება, სხვა სამსახურებთან ერთად აქტიურად არის ჩართული საარჩევნო უბნების მოწესრიგების პროცედურულ საკითხებში.

**ადამიანური რესურსების მართვის** ციკლის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ხელმძღვანელობს პრინციპებით, რომლებიც დამსახურებაზე, სამართლიანობასა და თანასწორობაზეა დაფუძნებული. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია იყენებს გამჭვირვალე, ღია და საჯარო მიდგომებს თითოეულ გამოცხადებულ კონკურსზე. ჩვენს მიერ განხორციელებული პროცედურები/რეგულაციები ღიად არის გაწერილი და მათი შესრულების მონიტორინგი შეუძლია შესაბამისი უფლების მქონე ნებისმიერ პირს.

ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია გულისხმობს ორგანიზაციაში პროფესიონალი კადრების მოზიდვას, არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამით წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტი პროფესიული საჯარო მოხელე იღებს მონაწილეობას, რაც თავისთავად გულისხმობს მეტ კვალიფიციურ კადრს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ 2025 წლის 3 იანვრიდან - 23 იანვრამდე შემუშავებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად ატვირთულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე ehrms.ge - ზე.

საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები საანგარიშო პერიოდში გაიარა 137 (ას ოცდაჩვიდმეტი) მოხელემ, მათ შორის სასწავლო გეგმით დამტკიცებული საბაზისო ტრენინგ-კურსი ,,პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარება“ გაიარა 8 (რვა) მოხელემ. დამატებითი ტრენგინგები, კერძოდ: ,,საბიუჯეტო კანონმდებლობა“; ,,რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში“; ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის საფუძვლები“; ,,ადამიანური კაპიტალის მართვა საჯარო სამსახურში“; ,,ინვენტარიზაციის პროცესის მართვა საჯარო სამსახურში“; „ეფექტიანობის აუდიტი შიდა აუდიტორებისთვის“ გაიარა 22 (ოცდაორი) პროფესიულმა საჯარო მოხელემ.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ტრენინგ-ცენტრებთან, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორთან და მათი მხარდაჭერით სისტემატურად ტარდებოდა სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები, კერძოდ; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ დაგეგმილ სწავლება ტრენინგი თემაზე:,,ქონების მართვა”; ამავე ორგანიზაციის მხარდაჭერით ტრენინგი ,,შესყიდვები“; ,,ბუღალტერია“; „2024-2027 წლების პრიორიტეტების განსაზღვრა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადება“ და „ბუღალტერია - ფინანსური ანგარიშგება“ ; საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) - ს მხარდაჭერით „ლიდერობა და მართვა ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით“; საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის („ათეა“) ჩატარდა სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები, ჯამში სხვადასხვა დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე მონაწილეობა მიიღო 137 (ას ოცდაჩვიდმეტი)-მა პროფესიულმა საჯარო მოხელემ.

საანგარიშო პერიოდში მერიაში ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა კონკურსი 6 (ექვსი) ვაკანტურ

პოზიციაზე, აქედან, 3 ღია კონკურსის წესით, 3-შიდა კონკურსის წესით, ჯამში 6 ვაკანტურ პოზიციაზე შემოვიდა 27 (ოცდაშვიდი) განაცხადი. აპლიკანტებიდან ექვსივე ვაკანტურ პოზიციაზე გამოვლინდა გამარჯვებული.

ზუგდიდის მერია პირველივე დღიდან აქტიურადაა ჩართული პრემიერ მინისტრის ინიციატივით დანერგილ სტაჟირების პროგრამის განხორციელებაში. 2025 წლის 01 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების შესაბამისად გამოცხადდა სტაჟირების კონკურსი 8 (რვა) ვაკანსიაზე. ჯამში სტაჟირების კონკურსზე შემოვიდა 84 (ოთხმოცდაოთხი) განაცხადი. სტაჟირების კონკურსზე გამოვლინდა 5 (ხუთი) გამარჯვებული.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა 2025 წლის 07 აპრილიდან 25 ივლისის ჩათვლით გაიარეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკა 108 (ას რვა) საათის ოდენობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში, ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში.

საანგარიშო პერიოდში შეფასებას დაექვემდებარა 182 (ას ოთხმოცდაორი) პროფესიული საჯარო მოხელე. დადგენილი გრაფიკის შესაბამისად უშუალ ო ხელმძღვანელებთან გასაუბრების ფორმით ჩატარდა საბოლოო შეფასება. ასევე გამოსაცდე ლი ვადით მიღებულ თანამშრომლებზე გაკეთდა დანიშვნიდან კვარტალური შეფასებები. თითოეული თანამშრომელი ელექტრონულად გაეცნო შეფასების საბოლოო შედეგს.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სრულად არის დამუშავებული ყველა შემოსული კორესპონდენცია, განყოფილებაში დამუშავდა, მზადდებოდა პროექტები და გამოიცემოდა სხვადასხვა სამართლებრივი აქტები.

ადმინისტრაციული სამსახურის **იურიდიული განყოფილება** უზრუნველყოფს მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების, პროექტების, ხელშეკრულებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივი გამართულობას მათი შესაბამისობის კონტროლს მოქმედ კანონმდებლობასთან, მუნიციპალიტეტის ნორმატიულ და სამართლებრივ აქტებთან; განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოებში, სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

იურიდიული განყოფილების თანამშრომლები, მერიის სამსახურებისთვის მიმაგრებულები არიან დარგობრივად, უწევენ კონსულტაციას და ჩართულები არიან მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა კომისიებში, საბჭოებსა და სამუშაო ჯგუფებში.

იურიდიული განყოფილება კონსულტაციას უწევს მერიის დაქვემდებარებაში შემავალ ყველა შპს-სა და ააიპ-ის, სტრუქტურულ ერთეულებს, საჯარო მოსამსახურეებს და მერის წარმომადგენლებს. სისტემატიურად ეხმარება მოქალაქეებს ისეთი ტიპის საკითხებში, როგორიცაა: ქონებრივი დავა, განქორწინება, კერძო საკუთრების დარეგისტრირება, პირადი საბუთების მოწესრიგება და სხვა.

განყოფილებამ საანგარიშო პერიოდიში მონაწილეობა მიიღო მიმდინარე და დაწყებულ 27 პროცესში, ასევე საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ მომზადდა სხვადასხვა ტიპის ბრძანებების და დადგენილებების პროექტები, მათ შორის 95 ბრძანება მეწარმეებისათვის პირგასამტეხლო თანხების დაკისრებისა და ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე.

იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ მომსახურებას. განყოფილების სპეციფიკიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე ჩართულია ყველა სტრუქტურის ფუნქციური პრობლემების გადაჭრასა და მოგვარებაში.

საანგარიშო პერიოდში შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა შეადგენს 217, გასული კორესპონდენციის რაოდენობა შეადგენს 225, ვიზა დადებული დოკუმენტების რაოდენობა 5405.

**მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში**

**შესრულდა და გაწეულ იქნა შემდეგი ხარჯი:**

ოფისის ხარჯი - 536718.89 (ოთხასორმოცდაშვიდიათასოთხასორმოცდათოთხმეტი ლარი და 45 თეთრი) ლარი.
შენობა- ნაგებობის დაცვის ხარჯი - 348676 (ორასსამოციათასასოცდარვა) ლარი
წარმომადგენლობითი ხარჯი - 5368 (ხუთიათასსამასსამოცდარვა) ლარი.
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 270346.04 (ორასრვათასოთხასოთხმოცდაათი ლარი და 62 თეთრი) ლარი.
სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი - 12672.89 (რვაათასცხრაასსამოცდაცხრა ლარი და 68 თეთრი) ლარი
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯი - 124135.08 (ასხუთიათასრვაასორმოცდახუთი ლარი და 60 თეთრი) ლარი.
არაფინანსური აქტივების ხარჯი - 39381 (ოცდაცხრამეტიათასსამასოთხმოცდაერთი) ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯი - 5850 (ოთხიათასხუთასი) ლარი. (დარჩელის ადმინიტსტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ფართის ქირაობის ხარჯი)

**შრომის უსაფრთხოების განყოფილების** ინიციატივით 2025 წელს შემოწმდა მერიის შენობის ელექტრო-გაყვანილობის სისტემა, რომელიც ძირითადად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს, თუმცა საჭიროებს სრულყოფას.

ასევე განხორციელდა მერიის შენობის ყველა სართულის სამუშაო ოთახებისა და ცივრცეების შესწავლა, რათა ერთ დასაქმებულზე გამოყოფილი სამუშაო სივრცე შესაბამისობაში იყოს კანონით დადგენილ ნორმებთან; შემოწმდა განათების ხარისხი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ ნორმებს.

მერიის სახსრებით მე-3 კვრტალში მოხდა შენობის სარდაფის ამოტუმბვა დაგროვილი წყლის მასებისგან და მისი ამოწმენდა.

მუდმივი კონტროლი ეწეოდა გათბობა-გაგრილების ტემპერატურულ რეჟიმს შენობაში, რომელიც გამართულად ფუნქციონირებს; დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმათა მოთხოვნები.

კანონით დადგენილ ვადებში ტარდებოდა სახანძრო, სანიტარულ-ჰიგიენური და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე ინსტრუქტაჟები.

## ❖ ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახური

- **ქონების მართვის განყოფილება**

საანგარიშო პერიოდში ქონების მართვის განყოფილებაში განსახილველად შემოვიდა 2358 განცხადება და მომართვა. ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11 ერთეული უძრავი ქონება: 1) ქ. ზუგდიდი, დავით ჯიქიას მე-4 შესახვევში მდებარე 402კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (**20100** ლარი) 2) ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი N19/რუსთაველის ქუჩა N89-ში მდებარე 2359კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (**2 010 000** ლარი), 3) სოფელ დარჩელში მდებარე 105კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (**10 700** ლარი), 4) სოფელ დარჩელში მდებარე 63კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (**6 350** ლარი) 5) ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 8კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (**3600** ლარი), 6) ქ. ზუგდიდი ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე 3715კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (**106 000** ლარი), 7) ქ. ზუგდიდი, გორის ქუჩაზე მდებარე 103კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (**9200** ლარი), 8) ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქუჩა N87-ში მდებარე 223კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (**40 200 ლარი**), 9) ქ. ზუგდიდი, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე 4519კვ.მ (შენობა/ნაგებობით) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (**321 000 ლარი**), 10) სოფ. ინგირში მდებარე 300კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (**11 200 ლარი**), 11) ქ. ზუგდიდი, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე 1000კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (**81 200**)

დემონტაჟის მიზნით პრივატიზებული იქნა 1 ერთეული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობა):

1) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულიშკარში მდებარე შენობა-ნაგებობა N1 (ყოფილი კულტსახლი) (**1300** ლარი)

არაფინანსური აქტივების კლებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში 01.10.2025 მდგომარეობით შემოსულია **4 057 111,46** ლარი (მათ შორის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებიდან **2 620 850** ლარი). ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა.

საანგარიშო პერიოდისათვის სასყიდლიანი იჯარის ფორმით **პირდაპირი** განკარგვის წესით გაფორმდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ( მიწის ნაკვეთები, ბოძის ნაწილი- წერტილები, ბანკომატი) 9 საიჯარო ხელშეკრულება ფიზიკურ და

კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, რომლთა წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა შეადგენს **45756** ლარს. ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა.

ასევე პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო აღნაგობის ფორმით 2026 წლის 31 მარტამდე გადაეცა მუნიციპალური განვითარების ფონდს ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქუჩა N15-ში მდებარე 54205კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სპორტული მოედნის ასაშენებლად.

ააიპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ჭითაწყარში, რუხში და შამგონაში მდებარე უძრავი ქონება (საბავშვო ბაღები), სსიპ ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქ.ზუგდიდი რუსთაველის ქუჩა N79 მე-3 სართულზე არსებული 32კვ.მ არსასცხოვრებელი ფართი, სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს 2026 წლის 01 იანვრამდე ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა N79-ში მე-4 სართულზე არსებული 135,6 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდობის განათლების და კულტურის ცენტრს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი ზვ. გამსახურდიას გამზირი N19/რუსთაველის ქუჩა N89-ში მდებარე 226,20კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზვ. გამსახურდის გამზირი N7-ში მდებარე უძრავი ქონება (საპრეზიდენტო ცენტრი). საქართველოს სპორტის სამინისტროს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქ. ზუგდიდი, ბენდელიანის ქუჩა N35-ში მდებარე უძრავი ქონება (სპორტკომპლექსი), ააიპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, რუსთაველი ქუჩა N79 მდებარე, მე-4 სართულზე არსებული 29,0კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. შ.პ.ს. „ენგურჰეს“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, რუსთაველი ქუჩა N90 მდებარე, მე-2 სართულზე არსებული 224,,0კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაეცა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზვ. გამსახურდის გამზირი N7-ში მდებარე ზვ.

გამსახურდიას სახელობის საპრეზიდენტო ცენტრში არსებული მოძრავი ქონება, საქართველოს სპორტის სამინისტროს უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაეცა ქ. ზუგდიდი, ბენდელიანის ქუჩა N35-ში მდებარე სპორტკომპლექსში არსებული მოძრავი ქონება.

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 7 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით 6531კვ.მ მათ შორის: დამატებითი ქონების სახით 6 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობებით და ნაგებობების გარეშე საერთო ფართობით 6297კვ.მ; საქართველოს მთავრობის განკარგულებებით ძირითადი ქონების სახით გდმოეცა 1 ერთეული (234 კვ.მ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 9 აპრილის სკვერი.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხობრებ 12 მოქალაქეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართები.

განყოფილება ყოველდღიურ რეჟიმში კონსულტაციას უწევს მოქალაქეებს საცხოვრებელი ფართების და მიწის ნაკვეთების საკუთრებაში დარეგისტრირების საკითხებზე.

- **მუნიციპალური სერვისებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილება**

1. ***დამისამართების აბრები***

მიმდინარე წელს განხორციელდა (კოდი:020703) ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ქუჩების დასახელებებისა და ამ ქუჩების გადასახვევებში განსათავსებელი ***„ქუჩის დასახელებისა და მიმართულების მაჩვენებელი აბრა (2 ცალმხრივი აბრა ერთმანათთან მიერთებით) ბოძით (თანმდევი მომსახურებით _ მოწყობა-მონტაჟით)“*** შესყიდვა: ქალაქ ზუგდიდის ქუჩებისათვის - 64 ერთეული; 13 სოფლის ქუჩებისათვის - 98 ერთეული. საწყისი ღირებულება - **99 380 (ოთხმოცდაცხრამეტი ათას სამასოთხმოცი) ლარი.** დასრულებული ტენდერით სახელშეკრულებო ღირებულება(ანაზღაურებული) **– 80 190 (ოთხმოციათას ას ოთხმოცდათი) ლარი.** *მიმდინარეობს* - გაურკვეველი ავტოავარიების შედეგად, ქალაქის ქუჩების, დასაწყისსა და ბოლოში განთავსებულ ზოგიერთ სამისამართო კონსტრუქციების რეაბილიტაცია - ***სულ 29 ერთეული.*** საწყისი ღირებულება - **7830 ლარს.** დასრულებული ტენდერთ სახელშეკრულებო ღირებულება **– 7395 ლარი.**

***2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა***
***„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“***

---

*მიმდინარე წელს გაეწია დახმარებები (კონსულტაცია) ამხანაგობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით 5 პოტენციურ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას. დაფუძნდა და ზუგდიდის*

*მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაცია რეგისტრაცია გაიარა 3-მა ახალდაფუძნებულმა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ:* **ბა. „კომბინატი 2“** - ქ. ზუგდიდი, ა.ხელაიას ქ. N4 ; **ბა.** „**მეზობლობა“** - ქ. ზუგდიდი, ჩიქოვანის ქ. N36 ;**ბა. „თუთარჩელა“**- ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. N30 .

*2025 წლის ბიუჯეტის* ***„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით“,*** *განხორციელდა თანადაფინანსების პრინციპით, მერიაში რეგისტრირებული სხვადასხვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ წარმოდგენილი 12* ***პროექტი:***

1. ***სადარბაზოს რეაბილიტაციაზე - 4 პროექტი***
2. ***სადარბაზო და კანალიზაციის რეაბილიტაციაზე - 5 პროექტი***
3. ***ეზოს შესასვლელში შლაგბაუმების მოწყობა - 3 პროექტი***

*2025 ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენდა - 240 000 ლარს. 2025 წლის ოქტომბრის თვემდე ათვისებულია მიზნობრივად 220 790 ლარი.*

- **საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება**

2024 წლის ოქტომბერში დაიწყო შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (EU Black Sea CBC) ფარგლებში დაფინანსებული პროექტი (აპლიკაციის ნომერი: BSB00460) „მწვანე ქალაქები, ერთად მწვანე ქალაქებისთვის“. ბიუჯეტი: 303,302.62 ევრო , 90 % დაფინანსებული გრანტი, 10 % ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კონტრიბუცია. შემუშავდა ურბანული განვითარების კონცეფცია; ჩატარდა თემატური შეხვედრები მოსახლეობასთან; ქალაქის ათამდე ლოკაციაზე განთავსდა საინფორმაციო ბილბორდები პროექტის პოპულარიზაციის მიზნით; განხორციელდა კომუნიკაციური მომსახურებები; შეძენილ იქნა ეკოინფორმაციული კიოსკი (ნახშირბადის კვალის დასათვლელად); მომზადდა სკვერის საპროექტო დოკუმენტაცია; გამოცხადდა სკვერის მოწყობის ტენდერი , შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 268 630 ლარი.

**პროექტი მდგრადი ურბანული განვითარება საქართველოში (GIZ)**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო გრანტი 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ევრო ოდენობით . დონორი : გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). 2025 წლის იანვარში დაიწყო პროექტის განხორციელება. პროექტის განხორციელების შედეგად, ზუგდიდის ურბანული ლაბორატორიის ჩართულობით შემუშავდება წინასწარ შერჩეული სივრცის სამეზობლო განვითარების კონცეფცია, რომელიც მოიცავს მცირე მასშტაბიან ურბანულ ინტერვენციებს, ასევე სადემონსტრაციო და საინვესტიციო პროექტის კონცეფციებს. მომზადდა შერჩეული ტერიტორიის სივრცითი ანალიზი; შეირჩა 3 მცირე მასშტაბიანი ინტერვენცია- რუსთაველის ქუჩის ტაქტიკური ურბანიზმი, ზუგდიდის რკინიგზის სატრანსპორტო ჰაბის განვითარება და მდ.ჩხოუშის მიმდებარედ მცირე ნაწილის რედიზაინი.

**პროექტი „მდგრადი ურბანული განვითარება საქართველოში“ – EnMS სისტემის დანერგვა**

2025 წლის იანვარში დაიწყო GIZ -ის პროექტის „მდგრადი ურბანული განვითარება საქართველოში“ მეორე კომპონენტის ენერგომენეჯმენტის სისტემის (EnMS) დანერგვა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. პროექტს ახორციელებს „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოში“, ასევე ავსტრიული კომპანია “All Plan”, კერძოდ ექსპერტი რაინერ სტიფტერი, რომელიც იმუშავებს იმაზე, რომ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება გადმოიტანოს პროექტში. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა და ჯგუფის წევრები გაეცნენ ბაზებში მუშაობის სპეციფიკას.

**პროექტი: „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება“**

**დონორი: შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC)**

2025 წლიდან, HELVETAS Swiss Intercooperation-თან პარტნიორობით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ჩართულია პროექტში „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება საქართველოში“ (LEDP) . პროექტის მიზნად ისახავს კოლხეთის ეროვნული პარკის და მისი მიმდებარე თემების გარდაქმნას მდგრადი ეკონომიკური საქმიანობების კერად.

ადგილობრივ ხელისუფლებას, კერძო სექტორს და თემებს შორის თანამშრომლობის ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, სხვადასხვა სისტემური მიდგომების დანერგვით, პროექტი ასევე მიზნად ისახავს თანამშრომლობის შესაძლებლობების გაძლიერებას და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას.

აღნიშნული პროექტი წარმოადგენს ინტერმუნიციპალურ ინიციატივას, რომელშიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მონაწილეობს 2024 წლიდან, ფოთის თვითმმართველი ქალაქის, ხობის, სენაკის, აბაშისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებთან ერთად.

პროექტის ფარგლებში 6-მა მუნიციპალიტეტმა გააფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტშორისი თანამშრომლობის გაძლიერება და კოლხეთის ეროვნული პარკის და მისი მიმდებარე ტერიტორიებისთვის, ტურიზმის განვითარების ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება.

მუნიციპალიტეტების აღნიშნული პარტნიორობა პრიორიტეტს ანიჭებს გარემოს მდგრადობას, საზოგადოებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ განვითარებას და სამართლიან ჩართულობას, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ, განსაკუთრებით ადგილობრივმა მოსახლეობამ, ისარგებლოს შექმნილი შესაძლებლობებით.

პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის სექტემბერში გამოცხადდა საგრანტო კონკურსი 6 მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მეწარმეების და სტარტაპების მხარდასაჭერად. საგრანტო კონკურსის მხარდამჭერი მიმართულებები იყო: ეკოტურიზმი, გასტროტურიზმი, ხელნაკეთი ნივთები და კულტურული აქტივობები. სულ შემოვიდა 47 აპლიკაცია, მათგან შესაფერისობის კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩევა საუკეთესო ინიციატივები, რომლებიც დაფინანსდება ადგილობრივი ბიზნესის განვითარების და მუნიციპალიტეტებში ეკონომიკური აქტივობის წასახალისებლად.

- **ტრანსპორტის განყოფილება**

საგზაო ნიშნების მოწყობისა და მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის (კოდი: 020103) ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებების, კერძოდ:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის მოწესრიგებისა და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით, ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ტრანსპორტის განყოფილებამ მოსახლეობის განცხადებების საფუძველზე შეიძინა 800 ერთეული სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი (ე.წ „ბორცვი“) და 100 ერთეული ბოძკინტი, ხელშეკრულება გაფორმდა **14240** (თოთხმეტი ათას ორასორმოცი) ლარზე. **(NAT240018849).**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 და 2025 წლის ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების მრავალწლიანი შესყიდვა, სახელშეკრულებო ღირებულებით 150000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარი, აქედან ამ ეტაპზე ანაზღაურებულია 147920 ლარი.

ასევე 2025 წელს გაფორმებული N92 და N236 ხელშეკრულებების საფუძველზე შევისყიდეთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნის ავტომატური მართვის კონტროლერის , შუქნიშნებისა და შუქნიშნებისათვის კარადები (თანმდევი მომსახურებით _ არსებულის დემონტაჟი და ახლის მონტაჟი).

ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს 386101 (სამასოთხმოცდაექვსი ათას ასერთი) ლარს. მათ შორის N92 (NAT250013136) ხელშეკრულებიდან - 319 911 ლარი და N236 (NAT250004786) ხელშეკრულებიდან - 66190 ლარი.

ზუგდიდის ადმინისტრაციულ საზღვრებში პერიოდულად ვახორციელებთ საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნების დამატებას და განახლებას.

- **ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილება**

განყოფილების 2025 წლის პროგრამების უზრუნველსაყოფად 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია (ორგანიზაციული კოდი 0304) 85 000 (ოთხმოცდახუთი ათასი) ლარი.

განყოფილების საქმიანობა და პროგრამების მიმდინარეობა:

1. პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ფურების) ხელოვნური განაყოფიერება“ -2025 წელს გათვალისწინებულია **44000** ლარი. აღნიშნული პროგრამის უზრუნველსაყოფად ჩატარებულია სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები, გამოვლენილია გამარჯვებული ინდივიდუალური მეწარმე „მარლენ ჯინჯოლავა“, გაფორმებულია ხელშეკრულება N 46 (05.03.2025წელი) **43 188** ლარი, ეკონომია **812** ლარი.

ხელშეკრულების პირობების დაცვით განხორციელდა 366 მსხვილფეხა საქონელზე ხელოვნური განაყოფიერების პროცედურაზე მომსახურება. 15.07.2025 წელს შედგენილია ინსპექტირებისა და მიღება ჩაბარების აქტები, რის საფუძველზე გამოიცა 18.07.2025 წელს ბრძანება N ბ24.24251993 და 22.07.2025 წელს გადაირიცხა **43 188** ლარი.

პროგრამით გათვალისწინებულია თანადაფინანსების პრინციპი, რაც ითვალისწინებს ბენეფიციარის მიერ ერთჯერზე **35,40** (ოცდათხუთმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარის გადახდას ბიუჯეტში, სულ კი **12 956,4** (366*35,4) (თორმეტი ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტი) ლარი.

2. პროგრამა „სახელმწიფო პროგრამა "დანერგე მომავალი"-ში მონაწილე ფერმერების ხელშეწყობა, ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ღირებულების თანადაფინანსება (ქალი ფერმერი - 90 %; კაცი ფერმერი - 50 %; თანასაკუთრება - 60 %) მიმდინარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 25.02.2025 წლის N ბ24.242505610 ბრძანების, საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების ხელშეწყობის ფარგლებში სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“-ში მონაწილე ფერმერების ხელშეწყობა „ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ღირებულების თანადაფინანსების შესახებ პროგრამის წესის“ დამტკიცების შესახებ, შესაბამისად.

01.10.2025 მდგომარეობით პროგრამის შესაბამისად დაფინანსებულია 15 ბენეფიციარი (მ.შ. 8 ქალი, 7 კაცი, 1 თანასაკუთრება) **4 622** ლარით.

პროგრამის ბიუჯეტია **19 000** ლარი, გახარჯულია **4 622** ლარი , დარჩენილი **14 378** ლარი.

პროგრამა მოქმედებს 2025 წლის ბოლომდე ბიუჯეტის ამოწურვამდე.

## • შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი''

2022-2025 წლები კომპანიის განვითარებისა და მნიშვნელოვანი სიახლეების წლები იყო. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ შედგა „საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამა“ და ჩატარდა კორპორაციული განვითარების პროგრამისა და ტრანსპორტის რეფორმის კვლევა. პროექტის მენეჯერი იყო ესმაილ ღაჰრემანი ცენტრალური აზიის ქვეყნების ჯგუფის დირექტორი, ტრანსპორტის მგეგმარებელი რაგუბ გარაზდე, პროექტის ადგილობრივი მენეჯერი გიორგი გიგაური და ნე ილ ბირჩი. პროგრამა დაგვეხმარა ავტობუსებისა და მიკროავტობუსების ქსელის ოპტიმიზაციაში მარშრუტის/მანძილისა და დროის თვალსაზრისით, მინიმუმ იგივე გეოგრაფიული დაფარვისა და მომსახურების დონის შენარჩუნებით. სატრანსპორტო კვლევების შედეგად, განისაზღვრა ყველაზე ეფექტური ავტობუსის მარშრუტებისა და მომსახურების დონე, მარტივი ქსელისა და მარშრუტის სტრუქტურა.

შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს სარგებლობაში 42 ერთეული სამგზავრო ავტობუსი, 32 მარშრუტზე ყოველდღიურად ოპერირებს, აქედან 25 ერთეული OTOKARI-ის და 17 ერთეული IZUZU-ს ტიპის ავტობუსია. 42 ავტობუსიდან 10 ავტობუსი ოპერირებს ორ ყველაზე დატვირთულ მარშრუტზე, ქალაქის, იქკ-ის, ფაიფურის დასახლების და წისქვილკომბინატის ტერიოტორიაზე (მარშრუტი N 1 და N 3 ), ხოლო დანარჩენი ავტობუსები გამოყოფილია სოფლის მარშრუტების მომსახურებისთვის.

გასული წლის 1 ნოემბრიდან დღემდე სამგზავრო ავტობუსებმა გაირბინა 2 873 175 კმ და გახარჯა 657 830 ლიტრ დიზელის საწვავი, რომელმაც თანხით შეადგენა 1 632 739 ლარი. შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი"-ს მიღებულმა ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 5 712 273 ლარი, მათ შორის სუბსიდიაა 3 989 879 ლარი, საკუთარი შემოსავალი მგზავრთა გადაყვანიდან შეადგენს 1 722 394 ლარს, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 5

649 451 ლარი. აქედან დიზელის საწვავზე გაიხარჯა 1 683 162 ლარი; თანამშრომელთა ხელფასებზე გაცემულია 2 450 564 ლარი, ოტოკარის ტექნიკურ მომსახურეობაზე და რემონტზე 1 124 717 გაიხარჯა ლარი, ისუზუს მარკის ავტობუსების ტექნიკურ მომსახურეობაზე, სათადარიგო ნაწილებზე და რემონტზე გაიხარჯა 280 997 ლარი. ოფისის ხარჯებმა შეადგინა ( ელექტროენერგია, წყალი, საკანცელარიო ნივთები, ინტერნეტი, სატელეფონო მომსახურეობა, ელექტრონული ვებ გვერდის მომსახურეობა 46820 ლარი. ავტობუსების პერიოდული ტექნიკური დათვალიერება 8990 ლარი. სამეურნეო საქონლის შეძენა 39646 ლარი. საპენსიო ანარიცხები 14555 ლარი.

- **ააიპ ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი''**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს მიერ 2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 1 ნოემბრამდე ხარჯების გეგმა შეადგენს 1601,0 ათ. ლარს, ფაქტიურად გახარჯულია 1512,9 ათ. ლარი.

**2024 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე** ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 25-მდე საერთაშორისო და 65-მდე რესპუბლიკურ, რეგიონალურ და ადგილობრივ ტურნირებში სპორტის 13 სახეობაში, მათ შორის: ძალოსნობა, კრივი, ჭადრაკი, ხელბურთი, კალათბურთი, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, სპორტული კარატე, მძლეოსნობა, კიკბოქსინგი, მხატვრული ტანვარჯიში.

ზუგდიდში ჩატარდა **27-მდე** სპორტული ღონისძიება, რომელიც დაფინანსებული იყო ადგილობრივი ბიუჯეტით. მათ შორის: ტურნირი „დებიუტანტი" ჭადრაკში, „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩემპიონატი" ჭადრაკში, „ზუგდიდის მერიის თასი" ჭიდაობა ძიუდოში, ზუგდიდის ღია ჩემპიონატი ძალოსნობაში (U15), სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონატი ჭადრაკში, საქართველოს პირველობა რაგბიში (დასავლეთ ზონის B ჯგუფი) 4 კალენდარული შეხვედრა, ზუგდიდის ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში 8, 10, და 12 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში, „კოლხეთის თასი" ჭიდაობა ძიუდოში, საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში „MAX FIGHT 12", „გოჩა ჩოკორაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში"; საქართველოს დამასახურებული მწვრთნელის ჯუმბერ მამფორიას ხსოვნის პირად-გუნდური პირველობა ძალოსნობაში (U17);

მასობრივი სპორტული ღონისძიებები: „საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი გარბენი", „სპორტის საერთაშორისო დღე", „ველორბოლა 2025", ტრადიციული ტურნირი ცხენოსნობაში „მარულა 2025", ფრენბურთის ტურნირი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის (ტყაია), მინი-ფეხბურთის ტურნირი (დარჩელი), „სასკოლო სპორტის კვირეული" და სხვ. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური თამაშებში, რომელიც მოიცავს სპორტის 8 სახეობას, მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის **16 საჯარო და კერძო სკოლის 124-მა** მოსწავლემ.

საანგარიშო პერიოდში, სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩემპიონი და პრიზიორი გახდა **80-მდე** სპორტსმენი. მათგან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თავი გამოიჩინა **6-მა** ზუგდიდელმა სპორტსმენმა.

- **შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“**

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების მიერ გატარებულია შემდეგი სახის ღონისძიებები:

- განხორციელდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის (შუალედური დასკვნის) საფუძველზე განხორციელდა მინერალური სასუქის შესყიდვა და ნაწილით ხე-მცენარეების შეწამლვა და ნიადაგის გაჯერება, აღნიშნული სამუშაოებისთვის ჯამში გაიხარჯა 9491 ლარი.
- განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარის განახლება- მოვლის სამუშაოები კერძოდ ქვიშის დაყრა მინდვრის საფარის დაჩხვლეტა, ბაბკით დატკეპნა და სასუქი მინერალების შეტანა. საქონლის/მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 10830 ლარი;
- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლვარის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად შემენილი იქნა 9993 ლარის ელექტრო და 28144,2 ლარის სამეურნეო საქონელი საერთო ღირებულებით 38137,2 ლარი.
- კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ანაკლიის ზოლვარის ტერიტორიაზე განთავსებულ 2 საპირფარეშოს , რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 10076.41 ლარი.
- შემენილიქნა ზოლვარის მინიფეხბურთისა და ფრენბურთის ბადეები ასევე განხორციელდა ხელოვნურსაფარიანი კალათბურთისა და ფეხბურთის სპორტული მოედნებისთვის შემომზღუდავი ბადეების დამონტაჟება 12384,5 ლარის ფარგლებში.
- განხორციელდა 5 ღია სავაჭრო ობიექტისთვის მილკვადრატებისგან კარების დამზადება 9768,77 ლარის ფარგლებში.
- ანაკლიის ზოლვარის ტერიტორიაზე მოეწყო ელექტრორეგულირებადი შლაგბაუმი 4300 ლარის ფარგლებში
- შემენილ იქნა საშხაპეებისა და გასახდელების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 2500 ლარის ფარგლებში
- განხორციელდა 5 გასახდელის სამშენებლო სამუშაოები 43181,97 ლარის ფარგლებში
- ანაკლიის ზოლვარის საპირფარეშოებთან მოეწყო სეპტიკი 5347,09 ლარის ფარგლებში
- შშპ პირებისთვის სანაპირო ზოლზე მოეწყო საშხაპე , გასახდელები და ზღვასთან მისასვლელი ბილიკები 27320 ლარის ფარგლებში.
- ანაკლიის ზოლვარის ტერიტორიაზე დამონტაჟდა კბილანა ბარიერი და მაჩვენებელი ნიშანი, ასევე დაყენდა მანათობელი ასოები დაცვის ჯიხურებზე და მაჩვენებლი ნიშნები სულ 4380 ლარის ფარგლებში
- ანაკლიის ზოლვარის ტერიტორიაზე განხორციელდა საჩრდილობლების გადახურვა ბამბუკით, რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 5625 ლარი.
- განხორციელდა ანაკლიის შადრევნების ძრავის რემონტი 650 ლარის ფარგლებში.

- განხორციელდა ანაკლიის ბულვარის ტერიტორიაზე გასაქირავებელი ფართების აზომვითი /აგეგმვითი ნახაზის მომზადება, საპირფარეშოს სეპტიკისა და 5 ღია სავაჭრო ობიექტისთვის კარების დამზადების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენა და ამფითეატრი დაზიანების ხარისხის საექსპერტო მომსახურება 2500 ლარის ფარგლებში.
- ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაციის წინა საპროექტო კვლევის მომსახურების შესყიდვა 9800 ლარის ფარგლებში.
- განმუხურის ამფითეატრის სცენის დემონტაჟი 9800 ლარის ფარგლებში
- განმუხურის ამფითეატრის სცენის დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალების (კონსტუქციების ) ტრანსპორტირება და დასაწყობება რომლის მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 1530 ლარი
- განხორციელდა 2 ღია სავაჭრო ობიექტის დამზადება/მშენებლობა 22543,42 ლარის ფარგლებში.

- **ა(ა)აიპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“**

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე” წარმოადგენს სკოლისგარეშე, მრავალპროფილიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოზარდებს, ახალგაზრდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში. უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, საყმაწვილო ჟურნალისტიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლებასა და პოპულარიზაციას.

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის“ 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 1 ოქტომბრამდე ბიუჯეტის ასიგნება შეადგენს 1140488 (ერთი მილიონ ას ორმოციათას ოთხას ოთხმოცდარვა) ლარს. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ამ პერიოდისათვის დასაქმებულია 74 თანამშრომელი. (მ/შორის შტატით-71 ერთეული , ხოლო შტატგარეშე -3 ერთეული).

მიღებული ასიგნება გაიხარჯა გეგმაზომიერად ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით: **შრომის ანაზღაურება - 957 068 ლარი, საქონელი და მომსახურება - 176527 ლარი, არაფინასური აქტივების ზრდა - 6893 ლარი.** ასევე საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად განხორციელდა დასაშვები ცვლილებები ბიუჯეტის ასიგნებებში .

2024 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 1 ოქტომბრამდე საკუთარი სახსრების ფაქტიური შემოსავალი შეადგენს (სწავლის ქირა, დარბაზის ქირა, სხვა შემოსავლები) - 42614 ლარს. მ/შორის: შემონატანი- 38 114 ლარი, დარბაზის იჯარა -4500 ლარი. ამ პერიოდში მიღებული შემოსავლები გაიხარჯა გეგმაზომიერად ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების

მიხედვით. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები : სულ 37 ხელშეკრულება. გამარტივებული 31 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული 6 ხელშეკრულება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:**

**ინტელექტკლუბი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და სასახლის ერთობლივი რეგიონალური კონფერენციის „ნორჩი მკვლევარი 2024“ ფარგლებში მოეწყო სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსია ყაზბეგში; ინტელექტუალური თამაში ,,მოაზროვნე“ ჩაატარა; ჩარლზ დიკესის - "საშობაო სიმღერის" მიხედვით შექმნილი ფილმის ჩვენება და დისკუსია გამართა; ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?“ 8-ჯერ ჩატარდა; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და სასახლის ერთობლივი პროექტის ვიქტორინა-კონკურსის ,,იცოდე შენი ქვეყნის ისტორია“ I, II ტური და ფინალი ჩატარდა; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და სასახლის ერთობლივი პროექტი რეგიონალური კონფერენცია „ნორჩი მკვლევარი 2025“ ჩატარდა.

**ჟურნალისტთა კლუბმა ‘‘სარკმელი’’:** ფილმის ,,ხიდი ტერაბაიტამდე’’ ჩვენება გამართა; დებატები „დებატობს GEN Z” ფარგლებში, პირველი საცდელი შეხვდრა; სასახლის, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისა და საინფორმაციო კომპანია „მედიასახლის“ ორგანიზებით განხორციელდა პროექტი- ფოტომარათონი „კადრის ფესტივალი 2025“; სასახლის ნორჩ ჟურნალისტთა კლუბ „სარკმელს“ ზუგდიდის მე-5 საჯარო სკოლის გამომცემელთა კლუბის მოსწავლეები ესტუმრნენ, რომლებიც კოლისთვის კონფლიქტის მოგვარების თემაზე წიგნს ამზადებენ.

**დრამატული სტუდია ,,შთამომავლები’’** : სპექტაკლის "ურჩხული და მზეთუნახავი" პრემიერა; სასახლის დრამატული სტუდია „შთამომავლები“ ქალაქ თელავში გამართულ თეატრალურ ფესტივალზე „გაზაფხულის დღეები“ მიიღო მონაწილეობა. ფესტივალის მთავარი პრიზი „გრანპრი“, ასევე ფულადი ჯილდო 1000 ლარი გადაეცა სპექტაკლისათვის „HELLADOS” .ნომინაციაში, საუკეთესო მუსიკალური გაფორმება სპექტაკლმა „ პეპის ოინები“ მოიპოვა.

**არტშემოქმედებითი ჯგუფი:** მოსწავლეებმა საკუთარი ხელნაკეთი ნივთების საახალწლო გამოფენა მოაწყვეს.

**სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდია ,,ეზი“:** ბათუმში სამეჯლისო და სპორტული ცეკვების საერთაშორისო კონკურსში ,,ბათუმი 2024“ მიიღეს მონაწილეობა; საქართველოს ცეკვისა და სპორტული ცეკვის პროფესიონალთა ეროვნული საბჭოს ორგანიზებით თბილისში , სარეიტინგო ტურნირში " შემოდგომის თბილისი" მონაწილეობა.

**თანამედროვე ცეკვების სტუდია "Dance Dynasty":** თბილისში გამართულ “OPEN NATIONAL CHEMPIONSHIP OF GEORGIA 2025” მიიღეს მონაწილეობა, სადაც საქართველოს თასი მოიპოვეს.

**მუსიკალურ-თეატრალური სტუდია ,,რიბირაბო“ და ანსამბლი ,,გინცი“** : ანსამბლის "გინცი" სოლისტები, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლას ვეგასის საერთაშორისო "Golden dream 2025" კონკურს-ფესტივალზე მონაწილეობა; ბაკურიანში, საერთაშორისო ფესტივალში " I INTERNATIONAL FESTIVAL-CONTEST WINTER In Wonderland" მონაწილეობა.

**მუსიკალური ბენდი ,,ზუგდიდი“:** თელავში III საერთაშორისო კონცერტ-ფესტივალში ,,OLD TOWN PICURES 2024” მიიღეს მონაწილეობა.

**გიტარისტთა ბენდი ,,ბირთვი“:** ბათუმში, საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე ,,Wonderland From Georgia with love” მონაწილეობა;

**ხალხური სიმღერებისა და საკრავების შემსწავლელი წრე:** ხობის ხელოვნების კონკურს-ფესტივალი „ჰარიდა“ ჩატარდა, სადაც სასახლის ხალხურ საკრავთა ჯგუფი „მაფშალია“ და გოგონათა ანსამბლი „იასამანი“ მონაწილეობდნენ. მათ III - პრემია და ლაურეატის წოდება მოიპოვეს.

**ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ყილოშტყებამი“:** სასახლის ქორეოგრაიფიული ანსამბლი "ყილოშტყებამი" 21-25 აპრილის განმავლობაში თურქეთს, ქ. ფეთჰიეს საერთაშორისო "CHILDREN FOLK DANCE FASTIVAL" სტუმრობდნენ.

**ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,მტრედები”:** ანსამბლი ,,მტრედები“ მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალზე ,,Sunny Olympia” (ბულგარეთის რესპუბლიკა, ქ.სოფია)

**ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,თუთარჩელა“:** მონაწილეობა ხობის ხელოვნების კონკურს-ფესტივალში „ჰარიდა“. მათ III - პრემია და ლაურეატის წოდება მოიპოვეს.

**სასახლის შემოქმედებითი ჯგუფები:** ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი " ყვავილობის აკორდები" ; საახალწლო კონცერტი; საანგარიშო კონცერტი.

**ღონისძიებები მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ჩართულობით:** ელგუჯა მამალაძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი; სასახლის ბენდი "ზუგდიდი" და "ბირთვი", ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში გამართულ, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მიიღეს მონაწილეობა.

## ❖ შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური

### შიდა აუდიტი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების მიერ 2024 წლის 01 ოქტომბრიდან 2025 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში:

ჩატარდა შპს ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS-ის შესაბამისობის აუდიტი. ჩატარებული აუდიტიდან გაიცა 10 რეკომენდაცია;

განხორციელდა ა(ა)იპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის, ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის, ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ოდიში-1919-ის აქტივების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი. ჩატარებული აუდიტიდან გაიცა 4 რეკომენდაცია;

ჩატარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023-2024 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (პროგრამის კოდი 06 02 14) პროგრამის სისტემური აუდიტი. ჩატარებული აუდიტიდან გაიცა 6 რეკომენდაცია;

განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023-2024 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამის (პროგრამის კოდი 05 02 04) ეფექტიანობის აუდიტი. ჩატარებული აუდიტიდან გაიცა 5 რეკომენდაცია;

განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" (პროგრამის კოდი 02 00) პროგრამის სისტემური აუდიტის; შპს ANAKLIA-GANMUKHUR RESORTS-ის შესაბამისობის აუდიტის; ა(ა)იპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის, ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის, ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ოდიში-1919-ის აქტივების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის და მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის მზაობის ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. შედგა 4 მონიტორინგის ანგარიში.

ამჟამად მიმდინარეობს ა(ა)იპ ზუგდიდდასუფთავების ცენტრის შესაბამისობის აუდიტი.

საკონსულტაციო მომსახურება გაეწია შპს ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS-ს; ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრს და ა(ა)იპ ზუგდიდდასუფთავების ცენტრს.

### ინსპექტირება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მიერ 2024 წლის 01 ოქტომბრიდან 2025 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში:

- ჩატარდა 224 ინსპექტირება;
- შედგენილ იქნა ინსპექტირების 97 ოქმი და 115 დასკვნა;
- შედგენილი ინსპექტირების დასკვნების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების 141 მოსამსახურის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა;
- მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა 5 დისციპლინური წარმოება, რომლის

საფუძველზეც შედგენილ იქნა დისციპლინური წარმოების დასრულების შესახებ 5 დასკვნა. აღნიშნული დასკვნების საფუძველზე მერიის 4 საჯარო მოსამსახურის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, ხოლო 13 მოსამსახურეს მიეცა სიტყვიერი გაფრთხილება;

• ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადებში ხარვეზების/ნაკლოვანებების გამოვლენის და შემდგომი რეაგირების მიზნით, დათვალიერებულ იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული 97 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთაგან 21 ობიექტთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების საპასუხოდ მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ გაცემულ იქნა 21 მითითება კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველეყოთ აღნიშნული ხარვეზების/ნაკლოვანებების აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

• მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ან/და წილობრივი მონაწილეობით არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით გაცემულ იქნა 6 მითითება;

• განხორციელებულ იქნა სამსახურის მიერ გაცემული 22 მითითების შესრულების მონიტორინგი;

• გამოვლენილ იქნა მერიის 1 საჯარო მოსამსახურის შესაძლო თანამდებობრივ შეუთავსებლობის ფაქტი.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური აქტიურად აგრძელებს მუშაობას ხელი შეუწყოს და დახმარება აღმოუჩინოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს კანონით დაკისრებული უფლებამოსილებისგანხორციელებაში.

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო საქმიანობის სფეროში არსებული პოზიტიური შედეგების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურული და სოციალურ-კულტურული განვითარების თვალსაზრისით არსებული საჭიროებების დაკმაყოფილება მოითხოვს მეტ ფინანსურ რესურსს, ვიდრე ამ ეტაპზე ბიუჯეტს ამის შესაძლებობები გააჩნია. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მმართველობის დეცენტრალიზაციის სახელმწიფო პროგრამის ეტაპობრივი განხორციელების შედეგად ახლო პერიოდში საგრძნობლად გაიზრდება მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსავლები და მას ექნება უფრო მყარი ფინანსური ბაზა, რითაც შესაძლებელი იქნება სრულად და მეტი მოცულობით დაფინანსდეს თვითმმართველი ერთეულის (მუნიციპალიტეტი) ინფრასტრუქტურული განვითარების, სოციალური, ჯანდაცვის და კულტურული მშენებლობის რეალური საჭიროებები.